წელიწადი პირველი. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

# კომუნისტი

თბილისი

რედაქციის მისამართი: თბილისი, კროპოტკინის ქუჩა, № 4. ტელეფონები: საერთო—დღის 14—76. სტამბის—ღამის—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

სამშაბათი, 19 აპრილი, 1921 წ.

№ 39 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 39

## „დემოკრატიზმის გზით"... კონტრ-რევოლუციისაკენ

ჩვენ ვუბრუნდებით მენშევიკური პარტიის ხელმძღვანელი ორგანიზაციების თათბირს და მის მიერ მიღებულ რეზოლიუციას პარტიული მუშაობის შესახებ.

როგორია მენშევიკების სურვილი და რა მიზნები ამოძრავებს მათ? ამის გამოსარკვევათ საჭიროა გავიხსენოთ მათი წარსული მოღვაწეობა საქართველოში. ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ მიმდინარე სოციალისტური რევოლიუციის ხანაში მათ დაისახეს მიზნათ არა ახალი ეკონომიკის აღმშენებლობა, არამედ ძველი ურთიერთობის აღდგენა, მისი „დაპარინკება". მათი აზრით დღევანდელი საზოგადოებრივი განვითარების ხელის შესაწყობათ საჭიროა ბურჟუაზიული აღმშენებლობა მთელი აქედან გამომდინარე შედეგებით. ამის გამო ისინი მტრულათ უყურებდენ ოქტომბრის რევოლიუციას და მის პროგრამას. ამიტომაც დამარცხებულებმა რუსეთში, მათ დაიხიეს უკან და მოიხმარეს მთელი თავისი გავლენა, რომ საქართველოს მშრომელი მასები მოეწყვიტათ რუსეთის რევოლიუციონურ პროლეტარიატისაგან. ეს მათ შესძლეს და დაიწყეს ბურჟუაზიული სახელმწიფოს აღმშენებლობა. ყოველ მდგომარეობას თავისი ლოღიკა აქვს და, შემდგარებისთვის ასეთ ნიადაგზე, მათთვის აშკარა უნდა ყოფილიყო ის არჩევანი, რომელიც უნდა მოეხდინათ დღეს მიმდინარე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ორ სოციალურ ანტიპოდებს შორის. კითხვა გარკვევით იდგა და მომქმედი პარტიისაგან მოითხოვდა გადაჭრილ პასუხს. ან იმპერიალიზმი და ბურჟუაზიული რეაქცია, ან კომუნიზმი და პროლეტარული რევოლიუცია. Entweder—oder.

ამ კითხვაზე მენშევიკებმა გარკვეული პასუხი მისცეს: ჩვენ გვირჩევნია დასავლეთის იმპერიალისტები აღმოსავლეთის ფანატიკოსებსო. დამფუძნებელი კრების ერთ ერთ საზეიმო სხდომაზე ბურჟუაზიული ევროპის გასაგონად მათი ბელადის მიერ გარკვეულათ წარმოთქმულ ამ სიტყვებით მისცეს მენშევიკებმა დათავებული ჩამოსხმული ფორმულა და მით სრული სანქცია მთელ თავის მოღვაწეობას ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ საქართველოში. ამნაირათ მენშევიკური პარტია თავიდანვე მოექცა ფაქტიურათ რეაქციის ბანაკში წინააღმდეგ რევოლიუციისა და ოთხი წლის, განსაკუთრებით უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, ის გამოდიოდა ამ რეაქციის ერთ-ერთ დასაყრდნობ ყავარჯენათ კავკასიაში. საქართველო შეიქნა ბუდე რუსეთის რევოლიუციის წინააღმდეგ მებრძოლ კონტრ რევოლიუციონერებისა. დღეს ეს ბუდე დაინგრა მთელ კავკასიაში და კერძოთ ჩვენს ქვეყანაში რევოლიუციის დროშა ფრიალებს და მენშევიკურ პარტიას უხდება ახალ პირობებში მოღვაწეობა საქართველოში. საინტერესოა ამიტომ კითხვა, თუ როგორი უნდა იყოს მენშევიკური პარტიის მოქმედების პროგრამა ამიერიდან საქართველოში? შესცვალა თუ არა ახლათ შექმნილმა გარემოებამ მენშევიკური პარტიის სოციალური პროგრამა და მისი ხაზი ორიენტაციის ევროპის იმპერიალიზმზე წინააღმდეგ რევოლიუციისა, მთელი აქედან გამომდინარე შედეგებით? ამ კითხვაზე ჩვენ ვიძლევით გადაჭრით უარყოფით პასუხს. ამის დასამტკიცებლათ ჩვენ გვაქვს ფაქტი დამარცხებული მენშევიკური მთავრობის გაქცევისა საზღვარგარეთ იმ მიზნით, რომ მოამზადოს, თუ ეს მან შესძლო, იმპერიალისტების ინტერვენცია საქართველოში და მით ცეცხლის ალში გახვიოს ქვეყანა. ამით მათ სურთ, თუ გინდ მთელი ხალხის გაწყვეტით, ძველი მდგომარეობის რესტავრაცია, რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლა.

საქართველოში დარჩენილ ძველი მთავრობის აგენტების უახლოესი მიზანიც იგივეა, რაც გაქცეული ბელადების. მათ შორის არასფერი განსხვავება არ არის. ჩვენ წინ არის საქართველოში გამოცხადებული საბჭოთა რეჟიმის შეთქმულთა პარტია, რომლის ერთი ნაწილი მუშაობს პარიზში და ლონდონში, მეორე თბილისში. პირველი რაზმავს უცხოელების თეთრგვარდიელებს საქართველოზე შემოსატევათ და რევოლიუციონური მთავრობის ჩამოსაგდებათ, მეორე აქ, შიგნით, სცდილობს შექმნას ამისთვის ხელსაყრელი პირობები. პირველი მოქმედებს აშკარათ, არ მალავს თავის ზრახვებს, მეორე მალავს მას, რამდენადაც შეუძლია ვერ ლაპარაკობს გაბედვით ამაზე, რადგან ის პირისპირ სდგას მოწინააღმდეგის წინ, რომელიც მას არ დაინდობს. კიდევ მეტი, ის არა თუ არ აშკარავებს თავის მიზანს, პირიქით, სცდილობს რაც შეიძლება ს ტყვების ბურუსში გახვიოს ის ლეგალობაზე ლაპარაკით, თუმცა ამას ვერ ახერხებს და საბოლოოთ აშკარავებს თავის მიზნებს.

საქართველოში დარჩენილი მენშევიკები ყოველ ღონეს ხმარობენ კანონიერების ფარგლებში მოაქციონ თავის დამარღვეველი მოღვაწეობა, ისინი სცდილობენ ლეგალურათ აწარმოონ ახალი რევოლიუციონური რეჟიმის შემუსრავი მუშაობა. მათი სურვილია მიიღონ მონაწილეობა ყველა არჩევნებში, ყველა დაწესებულებებში, იქ „ორგანიული მუშაობის" და იმავე დროს კრიტიკის საწარმოებლათ. რა მიზნით? იმიტომ რომ ხელი შეუწყონ რევოლიუციონური რეჟიმის განმტკიცებას, საბჭოთა აღმშენებლობას, რევოლიუციონური ძალების დარაზმვას და რუსეთის პროლეტარიატთან ერთათ საერთაშორისო იმპერიალიზმის და კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ საბრძოლველათ, იმ იმპერიალიზმის, რომელსაც ისინი მეგობრობას ეფიცებოდნენ, იმ კონტრ-რევოლიუციის, რომლის სათარეშოთ მათ საქართველო გადააქციეს? რასაკვირველია, არა. დღესაც ისინი ისეთივე დარჩენ, როგორიც იყვნენ გუშინ მათ ვერ მოსთხოვთ, რომ უარჰყონ თავის თავი, მთელი თავის წარსული, თავისი მოღალატური და რეაქციონური ბუნება. სწორეთ ამისდა მიხედვით უნდა გამომუშავდეს ჩვენი დამოკიდებულება მათ მიმართ დღევანდელ პირობებშიაც და ეს დამოკიდებულება არ შეიძლება იყოს სხვანაირი ვინემ ისეთი, როგორიც არსებობს რევოლიუციისა და კონტრ-რევოლიუციის შორის სამოქალაქო ომის დროს, როდესაც ყველა კითხვები სწყდება იარაღით ხელში.

ვერავის შეცდომაში ვერ შეიყვანს მათი ლაპარაკი „დემოკრატიზმის გზის" შესახებ, რომლითაც თითქოს ისინი მიდიან „სოციალიზმისაკენ". ჩვენს დროში არ კეთდება არც ერთი რეაქციონური საქმე, არ არის არც ერთი ვერაგობა, რომელიც არ ეხვეოდეს „დემოკრატიზმისა" და „სოციალიზმის" სამოსელში. ასევე იქცევიან ჩვენი მენშევიკებიც. თუ ვისმეს აქვს სურვილი დაუჯეროს მათ სიტყვებს, რომ ისინი მიდიან „დემოკრატიზმის გზით", ყოველ შემთხვევაში ერთი რამ უნდა იცოდეს ყველამ, რომ ამ გზით ისინი მიდიან კონტრრევოლიუციისაკენ საქართველოში.

ჩვენი დამოკიდებულება მენშევიკების მიმართ კერძოთ დღეს საქართველოში გარკვეულია და განისაზღვრება იმ მიზნებით, რომლებსაც ისახავენ ისინი თავის გამოსვლებში საბჭოთა რესპუბლიკისა და რევოლიუციონური მთავრობის წინააღმდეგ.

## საბჭოთა რუსეთის პრესა

**ქართველი მენშევიკები ანტანტის ინტერვენციას თხოულობენ.**

საქართველოში, როგორც ყველას მოეხსენება, მთავრობის სათავეში იდგნენ სოციალ-დემოკრატები — მენშევიკები, რომელნიც მეორე ინტერნაციონალში შედიოდნენ.

ბ.ბ. ჟორდანიებს ძლიერ სწყინდათ, როცა მათ უწოდებდნენ ანტანტის იმპერიალიზმის ვასალებს. რას გვიჩვენებს ფაქტები?

ბერლინელ „რულ"-ს (№ 84, 25 თებერვალი) ატყობინებენ საფრანგეთიდან, რომ „სოციალისტური" საქართველოს წარმომადგენელნი პარიზში ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ უზრუნველ ჰყონ მოკავშირეთა დახმარება იმ ფორმით, რომ მათ გაეგზავნოს სამხედრო მასალა, ჯარი და მიეცეთ თანხები. მათი სიტყვით ქართული ლაშქარი ცუდათაა შეიარაღებული. მას უხდება სამი ფრონტის დაცვა და ამის გარდა **შინაურ მტრებთან ბრძოლა.**

აქ ფიქრობენ, რომ ძნელია ამ მიზეზებით საქართველოს დახმარება და ამიტომ ამ დახმარების საქმე ადვილად არ მიაჩნიათ. „საქართველოს წარმომადგენლად" პარიზში ითვლება ბ-ნი წერეთელი და ის სთხოვს მოკავშირეებს, ე. ი. მილიერანს და ლოიდ ჯორჯს „ჯარსა" და „სახსარს", რომ „აწარმოოს ბრძოლა შინაურ მტრებთან", ე. ი. საქართველოს მუშებთან და გლეხებთან.

მენშევიზმის სიამაყე შესთხოვს მოკავშირეებს ინტერვენციას, მოკავშირეთა იმპერიალისტების შეიარაღებულ ჩარევას საქართველოს მშრომელთა წინააღმდეგ, რომელნიც აჯანყებამდე მიიყვანა მემამულეთა და კაპიტალისტთა ექსპლოატაციამ და „სოციალისტურ მთავრობის" შევიწროებამ. აი მეორე ინტერნაციონალის წევრების მუშაობა. მაგრამ, საბედნიეროდ, ერთსულოვნურ შეტევით საქართველოს მუშებმა და გლეხებმა მოიხსნეს ექსპლოატატორთა მძიმე უღელი, განდევნეს მათი მენშევიკური ნოქრები და ამნაირად გადარჩნენ ანტანტის კაპიტალის მონობისაგან.

ნ. ბ.

„პრავდა", № 57.

## რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-10 ყრილობა

**კამათი პოლიტიკურ განათლებაზე მოხსენების შესახებ**

**რიაზანოვი.** მე იმდენადვე მაშინებს მთავარ საპოლ. სახ. განათლების კომიტეტი, რამდენადაც სულ მუდამ მაშინებდენ მთავარი საპოლიტიკო რკინის გზის განყოფილებანი, მთავ. საპ. წყლის ტრანსპორტის განყოფილებანი, მთავ. პოლიტ. დონის აუზის ქვანახშირის სამრეწველოს განყოფილებანი. აქაც იმ ატმოსფერის სუნი ტრიალებს. აქ მე გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ ამხ. პრეობრაჟენსკის რეზოლიუციას. იგი შიშობს, გად სცეს მთელი საგიტაციო საპროპაგანდო აპარატი მთავარ საპოლიტ. სახალხო განათლების კომიტეტებს. ჩვენ რომ დაუჯეროთ ამხ. ლუნაჩარსკის რჩევას, ხოლო ამხ. პრეობრაჟენსკის განცხადებით კი ეს ფაქტი უკვე **მოხდა** ზოგიერთ საგუბერნიო კომიტეტებში და ამ პარტიულ ორგანიზაციებმა გადასცენ თავისი საგიტაციო განყოფილებანი, საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობანი მთავარ საპოლიტ. სახალხო განათლ. კომიტეტებს, მე თქვენ გეკითხებით, რას დაემსგავსება მუშაობა გინდ სამაზრო, თუ გინდა სარაიონო ან საგუბერნიო და სხ., რომელიც გნებავთ აიღეთ, კომიტეტებისა, თუ ისინი აღარ იარსებენ, როგორც ლოზუნგთა ის ლაბორატორიები, რომელზედაც მსჯელობდა ამხ. პრეობრაჟენსკი. აქ უნდა ითქვას მხოლოდ ერთი რამ: ჩვენ სახალხო განათლების კომისარიატში გვესაჭიროება ორგანო — თქვენ შეგიძლიანთ დაარქვათ მას მთავარი საპოლ. სახ. გან. კომიტეტი, დეე იყოს აგრე — ორგანო, რომელიც აწარმოებს იმ მუშაობას, რასაც წინად აკეთებდნენ სკოლის გარეშე განათლების გამავრცელებელი ყველა განყოფილებანი. ამათ უნდა აწარმოონ კომუნიზმის სახელმწიფოებრივი პროპაგანდა. ამხ. პრეობრაჟენსკი შეეხო იმ დამოკიდებულებას, რომელიც არსებობს და უნდა არსებობდეს პროფესიონალურ კავშირთა და პოლიტიკურ განათლების განყოფილებათა შორის. თუ რომ პროფესიონალური კავშირები უნდა წარმოადგენდნენ კომუნიზმის პრაქტიკულ სკოლას, მაშინ დაუთმეთ ამ პროფ. კავშირებს საგანმანათლებლო მუშაობისათვის განსაზღვრული სფერო და სწორედ ისე, როგორც საშიშოა, რომ პარტიის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებას ჩამოაშოროთ ეს ძირითადი მუშაობა, ისევე საშიშო იქნება, თუ ისედაც უფერულნი, დაუძლურებული ჩვენი პროფესიონალური კავშირები, კვლავ და შემდეგშიაც იქნებიან დასუსტებულნი ამ მხრივ.

**იაროსლავსკი.** ამხანაგებო, დღემდის ადგილობრივ ჩვენ მოწამენი ვართ შემდეგი მოვლენისა. მიუხედავად პოლიტიკურ განათლების განყოფილებების შესახებ უკვე გამოქვეყნებულ დეკრეტისა და გამოცემულ ზოგიერთ დებულებათა, ადგილებზე ამხანაგები ამ დეკრეტების ცხოვრებაში გატარებას ყოველ მხრივ ეწინააღმდეგებიან. ჩვენ მოწამენი ვართ იმისა, თუ როგორ თავგამოდებით იბრძვიან პროფესიონალური კავშირები იმის წინააღმდეგ, რომ საპოლიტიკო-საგანმანათლებლო მუშაობა, რომელსაც ისინი ვერას დროს ვერ ასდიოდნენ, გადასცენ პოლიტიკურ განმანათლებელ კომიტეტებს. ამნაირადვე მოწამენი ვართ იმისა, თუ როგორ მედგრად ეწინააღმდეგებიან სხვა დანარჩენი ორგანიზაციები და მათ შორის ახალგაზრდათა კავშირიც. მე ვამტკიცებ, რომ მთელი მასსის და მის ძალთა შეკავშირება პოლიტიკურ განმანათლებელ განყოფილებაში, შეკავშირება ნამდვილად პარტიულ ძალებისა, უფრო მეტ ნაყოფს გამოიღებს, ვიდრე ის, რასაც ჩვენ ვხედავთ ამ დაქსაქსულ მუშაობაში. მაგრამ ჩვენ აქ განსაკუთრებით გვიხდება შეჩერება შემდეგ საკითხზე: მოერევიან თუ არა ჩვენი პოლიტ. განათლ. განყოფილებანი, თუ გინდ ეხლავ გადავცეთ მათ საგრძნობი ძალები, იმ მუშაობას, რომელსაც ჩვენ ამ ჟამად ვაწარმოებთ, თუ გინდ აიღეთ აი, ჩვენს ჯარში. მე ვიცი, რომ სამხედრო მუშაკები ეწინააღმდეგებიან იმას, რომ მუშაობა რესპუბლიკის საპოლიტიკო გამგეობისა, მუშაობა პოლიტიკურ განყოფილებებისა გადაეცეს მთლიანად პოლიტიკურ-განმანათლებელ განყოფილებებს. არსებობს ზოგიერთი ამის საბუთებიც. არ შეიძლება ამ ორგანიზაციის გადატეხა ასე უხეშად. უნდა დაცულ იქნეს რამოდენიმედ თანდათანობა, მაგრამ უნდა გამოვტყდეთ, რომ ამ ჟამად პოლიტიკური-განმანათლებელი მუშაობა ლაშქარში ძალიან ცუდათაა დაყენებული და სწორედ იმიტომ, რომ ეს მუშაობა ნაწილდება და დიდძალი ძალღონე ცდება სრულიად უბრალოდ სხვა მიმართულებით. ჩვენ რომ მივანდოთ პოლიტიკურ-განმანათლებელ განყოფილებებს საპოლიტიკო - საგიტაციო მუშაობა გლეხთა, მუშათა და ლაშქრის ფართე მასსებში, ჩვენ არავინ დაგვიშლის ამა თუ იმ მომენტში — ყოველ დროს — მივსცეთ შენიშვნები და გზა უჩვენოთ პოლიტიკურ განმანათლებელ განყოფილებებსა და მთავარ პოლიტ. სახ. გან. კომიტეტსაც და ადგილობრივ პოლიტიკურ განმანათლებელ განყოფილებათაც განსაზღვრულად უჩვენოთ, თუ რომელ მხარეს უნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება. თუ მაგალითად სადღეისო პირობებით საჭიროა ყურადღება მივაქციოთ ლაშქარს — ჩვენ ამას შევასრულებთ. ტყუილად ფიქრობს ამხ. პრეობრაჟენსკი, რომ ჩვენი მასწავლებლობა, განათლების მუშაკთა და სოციალისტურ კულტურის ჩვენი კავშირი, როგორც მას ტყუილად ეშინიან დღემდის, რომ ეს კავშირი გატაცებულია ღრმა დემოკრატიულ და ასე გასინჯეთ სოციალისტურ ტენდენციებითაც კი. მე შემიძლიან მოვიყვანო მთელი რიგი მაგალითებისა პერმის, ალტაის და სხვ. გუბერნიებიდან, საცა თვითონ ეს კავშირი, რომელსაც დღემდის უკავია ხელში მთელი ეს მუშაობა, მომეტებულ ნაწილით ან ზოგჯერ მთლიანადაც მიმართავს ხოლმე საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტურ პარტიის წინააღმდეგ. მაშასადამე, აქ ამ ჟამად ჯერ არ უნდა შევცდეთ, არამედ დავისახოთ ჩვენ საგნად ეს კავშირიც, რომელსაც ჩვენ გამოვიყენებთ, როგორც მთავარ ძალას, პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობის წარმოებაში, რომ გადავაქციოთ სულით და ხორცით კომუნისტურ კავშირად. მე მსურდა შევჩერებულვიყავ საწარმოო პროპაგანდაზე. რადგანაც საქმე ეხლა ისეა დაყენებული, როდესაც საწარმოო პროპაგანდის ბიუროს წარმომადგენელია ყველა, ვისაც კი არ ეზარება, როდესაც ჩვენს მოსკოვში არსებობს რამოდენიმე ბიურო საწარმოვო პროპაგანდისა, ეს ასე არ შეიძლება დარჩეს, ვინაიდან ჩვენში სწარმოებს ბევრი სხვადასხვა ლაპარაკი საწარმოო პროპაგანდაზე და ნაკლებ არსებობს დაწესებულებანი საწარმოო პროპაგანდისა და თვით საწარმოო პროპაგანდაც ნამდვილად არ არსებობს. პირდაპირ გრცხვენია სთქვა, რომ მეფურ წესწყობილების დროს, იმნაირ წესწყობილების დროსაც კი, როდესაც საწარმოო პროპაგანდას ყველაზე ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ შეექმნათ საწარმოო — აღზრდილნი მუშაკნი, პროფ. ოზეროვმა მოახერხა და გამოსცა დიაგრამები თითქმის სუყველა ეკონომიურ საკითხებზე, ჩვენ კი ავყოლივართ შინა-მრეწველობას, ყოველი კომიტეტი ცდილობს თავის საცოდავ ძალებით შეჰქმნას თავისი დიაგრამები შეუმოწმებელ ციფრებით. შინამრეწველობა ყველაზე საცოდავი და მავნეა.

ნუ თუ ჩვენ ამ ორი წლის განმავლობაში არ შეგვეძლო ხელმეორედ გამოგვეცა, თუ გინდ ისევ ის ოზეროვის დიაგრამები ახალი ციფრებით? ჩვენ შეგვეძლო ამის გაკეთება, ეს საქმე რომ შეერთებული გვქონოდა, ჩვენ ხომ ნამდვილად გვქონოდა მთავარი ს. პ. სახ. განათლ. კომიტეტი, რომელიც იტვირთებდა თავის თავზე ერთ ერთ ამ საკითხთაგანს. შემდეგ მე მინდა მოკლედ შევეხო ახალგაზრდათა კავშირებს. სამწუხაროდ, ჩვენში ამხანაგები უკადრისობენ ახალგაზრდათა კავშირებში მუშაობას, ამის შემდეგ კი ჩვენ უფლება არა გვაქვს ვთქვათ, რომ ახალგაზრდათა კავშირი ითვლება კარგ სკოლად კომუნისტურ აღზრდისა. ამხანაგებო, კიდევ ერთი ორი სიტყვა იმ საშიშროების შესახებ, რომელიც გამოთქვა ამხ. რიაზანოვმა იმაზე, რომ მთავარი საპ. სახ. განათლ. კომიტეტი გახდება ისეთსავე დაწესებულებად, როგორც, მაგალითად, მთავარი პოლიტ. დონის აუზის ქვანახშირის სამრეწველოს განყოფილება, მთავარ საპ. რკ. გზათა განყოფილება და სხვ. და სხვ. ამხანაგებო, ეს სიტყვის თამაშია, რადგანაც იქ საქმე მიდიოდა ისე, რომ გაეშორებინა ერთი მეორისაგან ჩვენი პოლიტიკურ-განმანათლებლო მუშაობანი, აქ კი ლაპარაკი პირიქით იმაზეა, რომ დაქსაქსულობიდან გადავიდეთ მთელ პოლიტიკურ-განმანათლებლო მუშაობათა შეკავშირებაზე. ჩვენი პარტია იმყოფება განსაკუთრებულ პირობებში. არც ერთ კომუნისტურ პარტიას საზღვარგარედ არ აქვს თავის განკარგულებაში სახელმწიფო აპარატი. ჩვენ კი გვაქვს შესაძლებლობა კომუნიზმის სახელმწიფოებრივ პროპაგანდისა. და ეს შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ სრულად.

## საბჭოთა საქართველოში

**ამხ. ქავთარაძის დეპეშა.**

მოვიდა გემი „საქართველო" საქონლით დატვირთული. მოდის ბათომშივე გემი „ვენეცია". მივიღეთ მრავალი წერილი კონსტანტინეპოლიდან, რომლებშიაც გვაცნობებენ საინტერესო ამბებს. ნ. ჟორდანია და გეგეჭკორი საფრანგეთის მთავრობის გაწვევით გაემგზავრენ პარიზში. დანარჩენები ახდენენ ანგარიშების ლიკვიდაციას. ქართველ ლტოლვილთა მდგომარეობა მძიმეა. მათ თავი მოუყრიათ 1500 კაცამდე, რომელთა განდევნა და რომელიმე კუნძულზე მოთავსება აზრათ აქვს ადგილობრივ მთავრობის.

საქართველოს ყოფილ მთავრობის მისვლისას სანაპირო პოლიციას, რომელიც შემდგარი ყოფილა დენიკინელებისაგან, რამოდენიმე ოფიცრისთვის, მაგ. იმნაძე, ალექსანდროვის ბაღის გმირი, უცემიათ. ჯუღელი დაკავებული ყოფილა და შემდეგ გამოუშვიათ. წასული ქართველი კომერსანტები, როგორც მაგ. ჯაყელი, წინადადებას გვაძლევენ მოაწესრიგონ საქონლის გაცვლა-გამოცვლის საქმე. კონსტანტინეპოლში ყოფილა დაგროვილი აუარებელი საქონელი, რომელიც არ საღდება, მოთხოვნილების ნაკლებობის გამო. ფასები ზომიერია.

ანტანტამ შეუწყვიტა ვრანგელს ყოველგვარი დახმარება. მას წინადადება მიეცა: ან გაილაშქროს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, ან გადიხიზნოს ბრაზილიაში. ვრანგელი უყურებს ამ წინადადებას, ან როგორც დაღუპვას — პირველ შემთხვევაში, ან როგორც კატორღას — მეორეში.

მივიღე წერილი კუდიშისგან, რომელშიაც ის მაცნობებს, რომ უამრავი საქონელი, მოტანილი ყოფილ მთავრობისა და მისი აგენტების მიერ, ილუპება, იკარგება კონსტანტინეპოლში. მაგ. ცენტროკავშირის საქონელი. ტრაპიზონში ცენტროკავშირის განყოფილებამ მიატოვა ღვთის ანაბარა მთელი საწყობები, და მოსამსახურეები გაიქცნენ კონსტანტინეპოლში. უცხოელმა კაპიტალისტებმა დააკავეს რკინის გზების სასურსათო კომიტეტის ქონება (რომელიც გატანილი იყო ბათომიდან იტალიის ბაირაღის ქვეშ) იმ ვალების უზრუნველსაყოფათ, რომელიც ირიცხება სასურსათო კომიტეტზე. ამის შესახებ იტყობინებიან ათაბეგი და ბოკერია სპეციალურ მოწოდებაში საქართველოს რკინის გზელებისადმი. კონსტანტინეპოლში ლტოლვილთა შორის ისმის ტირილი და დრტვინვა. ყველა სცდილობს უკან დაბრუნებას. ხელთ მაქვს ოფიცრების წერილები, რომლებიც გვწერენ, რომ ისინი ამჯობინებენ დახვრეტილ იქმნენ საქართველოში, ვინემ სამოწყალოთ იყვნენ დაყრილნი კონსტანტინეპოლში.

# დღეს ნომერში:

ამხ. ქავთარაძის დეპეშა: ვაჭრული მიმოსვლის ნაწილი გაჭრების განიცდიან სტამბოლში, მათ მიერ გადაცემულ ხალხის კონებს უცხოეთის ეპატრონების.

მოსკოვის საბჭოს არჩევნებში კომუნისტები ბრწყინვალად იმარჯვებენ.

მუშათა გაფიცვები ინგლისში საერთო ხასიათს იღებს.

კონსტანტინოპოლში ინგლისელების, იტალიელების და ამერიკელების კონტროლით წრეებში [illegible] დამოკიდებულებას.

[illegible] ცვლელად ბევრი საქონელი, მათ რიცხვში 40,000 ფუთი ფეხსაცმელი, 1,000 მდე ფუთი ლანჩა, მანუფაქტურა და სხ.

**საუბარი ისპანიის კონსულთან.**

გრუსტას თანამშრომელთან საუბრის დროს ისპანიის ელჩმა განაცხადა, რომ საქ. საბჭოთა მთავრობის მხრით კარგი დამოკიდებულებას ხვდებოდა. ელჩი დარწმუნებულია, რომ მომავალში დამოკიდებულება ასეთივე იქნება. ჩემის მხრით, სთქვა კონსულმა, მე ყველაფერი გავაკეთე და შემდეგშიაც გავაკეთებ ყველაფერს ჩემზე დამოკიდებულს, რომ ისპანიის სავაჭრო დამოკიდებულება საქართველოსთან განმტკიცდეს და გაფართოვდეს.

ამ დღეებში, გარეშე ქქმეთა სამინისტროს საშუალებით გაიგზავნა რადიოთი დეპეშა კონსტანტინეპოლში. ამ დეპეშაში ისპანიის ელჩი ისპანიის მსხვილ ფირმას „ესპორტადორა-ისპანო-ორიენტალ“-ის წარმომადგენელს მარტინესს ატყობინებს, რომ საჭიროა მისი ჩამოსვლა, რათა მოაწესრიგოს და გააუქმოს ყოფილ მთავრობასთან დამოკიდებულება და დაიწყოს სავაჭრო ოპერაციები აქ არსებულ მთავრობასთან. დეპეშა თავდება ამ სიტყვებით „აქ ყველაფერი რიგზეა“.

კერძოდ ისპანიის ელჩმა განაცხადა, რომ გადატრიალების დროს მენშევიკურმა მთავრობამ რეკვიზიცია უყო 15,000

**სალამი საბჭოთა ხელის-უფლებას.**

**ქუთაისი.** 13 აპრილი. (დეპეშით). საქართველოს რევკომის და ცენტრალურ კომიტეტის სახელზე გაგზავნილია შემდეგი დეპეშა: „მთელი რაჭის მშრომელი გლეხობა დღესასწაულობს საქართველოში საბჭოთა ხელის-უფლების გამოცხადებას, რომლის მშრომელი ხალხიც ამ სამი წლის განმავლობაში აუწერელ ტანჯვა-ვაებას იტანდა მენშევიკურ მთავრობისაგან. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში ჩვენ ვხედავთ გლეხობის იმედების განხორციელებას და ამიტომ მზათა ვართ მთელი ჩვენი ენერგია და შეძლება მოვახმაროთ იმას, რომ შევუმსუბუქოთ შრომა გამარჯვებისათვის მათ, ვინც თავს იდო ჩვენი წინამძღოლობა.

საბჭოთა მთავრობის რევოლიუციონურ შემოქმედებით აღფრთოვანებულნი, ვუსურვებთ მას ნაყოფიერ მუშაობას ხალხის საკეთილდღეოთ, მივესალმებით აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს და იმედი გვაქვს, რომ მისი მოქმედება მიმართული იქნება მშრომელ ხალხის საკეთილდღეოდ.

# საბჭოთა რუსეთში.

**არჩევნები.**

**მოსკოვი.** 15 აპრილი. (რადიო). დღეს პირველი დღეა არჩევნებისა მოსკოვის საბჭოსი. მოსკოვის საბჭომ გამოუშვა დარიგება ამომრჩეველთა და დეპუტატთა საყურადღებოთ. დეპუტატებს უნდა მტკიცედ ახსოვდეთ, რომ მუშათა კლასმა შესწირა აურაცხელი მსხვერპლი თავის განთავისუფლებას მექარხნეთა და მემამულეთა უღლიდან. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ ნგრევის აცილება და ნორმალურ ცხოვრების აღდგენა მეურნეობის ყოველივე დარგის აღორძინებით შეუძლია მხოლოდ მტკიცე ხელისუფლებას შეგნებულ მუშათა ორგანიზაციებისა. საბჭოები უნდა იყვნენ შექმნილნი... (გამოტოვებულია)... მშრომელთა ძლიერ ხელისუფლების... (ბოლო არ მიგვიღია).

**მოსკოვი.** 16 აპრილი (რადიო). მთელ რიგ წარმოებებიდან ცნობები მოდის, რომ ყველგან თითქმის კომუნისტები აირჩიეს. ქალაქის რაიონში (დამახინჯებულია). საინჟინერო გუნდში, სამხედრო საგანგებო კომიტეტისა, მილიციონერების კრებაზე—ყველგან კომუნისტები აირჩიეს.

**პეტროგრადის მუშების საერთო საქალაქო თათბირი.**

**პეტროგრადი.** 13 აპრილი. (რადიო). მუშები საერთო საქალაქო თათბირზე მომხსენებელმა—პროფკავშირების საბჭოს თავმჯდომარემ ანციელოვიჩმა აღნიშნა, რომ ფაბრიკა ქარხნების წარმოებანი უზრუნველყოფილ იქნებიან დასათეს მიწებით, თესლით და იარაღით, ყველა ბინებს დაუმტკიცებენ მუშებს. მსხვილ ფაბრიკებისა და ქარხნების მუშებისთვის უზრუნველყოფილ იქნება ტრამვაით სარგებლობაც, რომ მუშებს შორიდან სიარული გაუადვილდეთ, განზრახულია მოეწყოს სამეურნეო საბჭოები და დაუკავშირონ ისინი იმ სამრეწველო დაწესებულებებს, რომელთაც მიზნათ აქვთ სურსათის მიღება. ზოგიერთ სურსათის და საგნების საწყობები დაეთმობათ ქარხნების ჯგუფებს. გამარტივებულ იქნება კონტროლი და მოსპობილიქნება გადაჭარბებული ბიუროკრატიზმი სატარიფო საკითხების პოლიტიკაში. კამათში მონაწილეობა მიიღეს მრავალმა ორატორმა, რომელნიც მოითხოვდენ მუშების მდგომარეობის პრაქტიკულად გაუმჯობესობას.

3 საათზე გაიხსნა თათბირი პეტერბურგის გუბერნიის სამაზრო, სათემო და სოფლის საბჭოების წარმომადგენლებისა. დიდი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ზინოვიევმა, მან გაიხსენა უკანასკნელი დეკრეტები, რომელნიც აუმჯობესებენ გლეხთა ცხოვრების პირობებს. გლეხებმა რევოლიუციისგან მიიღეს მუშებზე არა ნაკლები და უკეთესათაც ცხოვრობენ. მუშების და გლეხების საერთო, მჭყობრ მუშაობით მოიშორებენ იმ ორ ყავარჯენს, რომლების შემწეობითაც, ლენინის სიტყვით, დადის რუსეთი, და მოწესრიგებულ იქმნება ჩვენი მეურნეობა. სოფელმა უნდა მოგვცეს კარგი მუშები საბჭოთა აღმშენებლობაში მონაწილეობის მისაღებათ.

**ხელშეკრულება ბუხარასთან.**

**მოსკოვი.** 15 აპრილი. (რადიო). ცენტრალურ რევკომის გაერთიანებულ სხდომაზე ნაზირ-ვეზირთა საბჭოს და ბუხარის რესპუბლიკის საბჭოს მიერ დამტკიცებულია რუსეთის სოციალ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის ხელშეკრულება ბუხარასთან.

**პირდაპირი დამოკიდებულება საქართველოსთან.**

**მოსკოვი.** 15 აპრილი (რადიო). აღსდგა პირდაპირი დამოკიდებულება როსტოვ-თბილისის ხაზზე ბაქოსა და მინერალურ წყლების შეერთებით.

**კომუნისტური შრომა ურალზე.**

**მოსკოვი.** 15 აპრილი (რადიო). ურალიდან მიღებულია ცნობები, რომ თებერვლის თვის განმავლობაში ადგილობრივმა ქარხნებმა შეასრულეს მიცემული პროგრამა 21 პროც. რაოდენობით. მუშაობა სწარმოებდა მეტად მძიმე პირობებში, რომელიც შექმნილია სურსათსანოვაგის სიმცირის ნიადაგზე. მიუხედავათ ამისა, მუშებმა გამოიჩინეს დიდი შეგნება და სიმამაცე სახელმწიფო დავალებების ასრულებაში. (გამოტოვებულია). ამნაირ გეგმის დროს შესაძლებელია მივაღწიოთ მაქსიმალურ მომარაგებას საწვავ მასალისა, რაც შესანიშნავად ისახება რესპუბლიკის სამეურნეო საწვავ მასალის საქმეზე. მაისის ბოლოში შეჩერებულ იქნება ყოველივე მუშაობა და მუშები გაემართებიან 1921—1922 წლისათვის ქვანახშირის დასამზადებლად. 1350 მუშა იქნებიან გაშვებულნი სახელმწიფოს მინდვრის სამუშაოზე. ენკენისთვისათვის ურალზე ყოველივე წარმოება მზად იქნება და დაიწყებენ მუშაობას სრული ნაბიჯით.

**ხე-ტყის მრეწველობის გაუმჯობესება.**

**მოსკოვი.** 15 აპრ. (რადიო). უკანასკნელ წლებში ტყის გაჩეხამ დასცა ტყის მრეწველობა. საჭიროა გაჩეხილ ტყის სარგებლიანად გამოყენება. ამისათვის სხვადასხვა უწყებათა წარმომადგენლებისაგან შესდგა ცენტრალური საბჭო, რომელმაც პირველ საკითხად წამოაყენა ტყის წარმოების გაუმჯობესება და გაფართოება, ხე-ტყის დამზადების მეხანიზაცია, ხე-ტყის დამუშავება ახალ სამრეწველო გეგმით.

**გზათა მიმოსვლის ახალი სახალხო კომისარი.**

**მოსკოვი.** 15 აპრილი (რადიო) რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ გზათა მიმოსვლის სახალხო კომისრად დანიშნულია ამხ. ველიური. ამხ. ემშაროვი დანიშნულია გზათა მიმოსვლის სახალხო კომისრის მოადგილეთ.

# საზღვარ-გარეთ

**რევოლიუციონ. მოძრაობა ინგლისში.**

**ნაუენი,** 14 აპრილი. (რადიო). მთავრობასთან უშედეგო მოლაპარაკების გამო, რკინის გზის მუშებმა და სავაჭრო დაწესებულებათა მოსამსახურეებმა ლოიდ-ჯორჯს წერილი გაუგზავნეს და აცნობეს, რომ საზოგადო გაფიცვა დაიწყება პარასკევს, საღამოს 10 საათიდან. ამასთანავე ელექტრიულ დარგის მუშებმა, ტეხნიკებმა და ფეიქრებმა გამოუშვეს მოწოდება, სადაც თხოულობენ, რომ მიეხმარონ გაფიცულებს ფამბშირში სერიოზულ შეჯახების გამო, სადაც გაფიცულებმა მაღაროში მომუშავეებმა დაანგრიეს რკინის გზის სადგურები და მატარებლები. პირდაპირი, მიმოსვლა დონდის და ედინბურგის შუა შეწყვეტილი იყო, სანამ მეზღვაურებმა და პოლიციელებმა არ აღადგინეს სრული წესრიგი. მეზღვაურებმა და ქვეითთა ჯარმა დაიკავეს მნი-

## მგმირს საფლავზე

ამხ. ლუკიანე თავკაცი[illegible] ხსოვნას.

[illegible]

ხელში მაჩვილით დაიჯურდი წმინდა მოედასა.
მავრამ მტარვალთა ძველ ქვეყანას არ სძინებია,
გითვალთვალებდენ ჯალათები, გიგებდენ მახეს,
შურით აღვსილნი აღსასრულის მოახლოებით
თურმე გითხრიდენ, გიმზადებდენ შავ-ბნელ სამარეს.
მაგრამ სიკვდილი ვერ დაჰფარავს შენს ბრწყინავ სახეს
შენი აჩრდილი ჩვენს რაზმებსა კვლავ წინამძღოლობს,
ჩვენ კვლავ უცინით მოკაშკაშე წითელ ვარსკვლავსა,
მტერი კი, მტერი უიმედოთ წარსულსა გლოვობს.

**სანდრო ეული.**

შვნელოვანი სტრატეგიული პუნქტები ლონდონის გარშემო, მუშათა ლიდერმა კლაინსმა პარლამენტში განაცხადა, რომ მუშათა წარმომადგენლები სცდილობენ, რომ შეთანხმებას მიაღწიონ.

**ინგლისის მაღაროში მომუშავეთა გაფიცვა.**

**მოსკოვი.** 16 აპრ. (რადიო). ზარალი, მიყენებული ინგლისის მაღაროში მომუშავეთა გაფიცვით, ინგლისის მთავრობის აღრიცხვით უდრის 17 მილიარდ მარკას. რკინის გზის მემანქანეებმა, კოჩეგარებმა და აგრეთვე ელექტრიულ დარგში მომუშავეებმა დაადგინეს შეუერთდნენ საყოველთაო გაფიცვას, რომელიც დანიშნულია პარასკევისათვის

**ორ ცეცხლშუა.**

**ნაუენი.** 14 აპრ. (რადიო). უკანასკნელ ამბების გამო ლონდონის მთავრობა იძულებული გახდა ირლანდიიდან ინგლისში გადაეყვანა რამოდენიმე ქვეითა პოლკები, თუმცა ირლანდიაში წესრიგის დასაცავად 200,000 ჯარის კაცზე მეტი მაინც დარჩება.

**ბრძოლა იწყება.**

**მოსკოვი.** 16 აპრილი. (რადიო). ლონდონის გაზეთები გადმოგვცემენ ფაიბირში ჩრდილოეთის რკინის გზის ცენტრალურ სადგურზე 6,000 მაღაროში მომუშავეთა საბარგო მატარებლებზე თავდასხმას, მათი გაძარცვისა და სხვა შეტაკებების შესახებ.

**კომუნისტური მოძრაობა გერმანიაში.**

**ლიონი.** 15 აპრილი. (რადიო). გალლედან იუწყებიან, რომ ის ზარალი, რომელიც მიაყენა საქსონიის პროვინციის ამ უკანასკნელ დროს მომხდარ კომუნისტურმა აჯანყებამ—9 მილიონ მარკას აღწევს.

**თუთუნის ფაბრიკის მუშების გამარჯვება.**

**დრეზდენი.** 14 აპრილი. (რადიო). თუთუნის ქარხნის გაფიცულმა მუშებმა, მიაღწიეს რა სამუშაო ხელ-ფასის გადიდებას, ქარხანაში მუშაობა განაახლეს.

# 1-ლ მაისის დღესასწაული

კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის თაოსნობით საქ. საბ. სააგენტოსთან დაარსებულია განსაკუთრებული კომისია კომუნ. პარტ. ცენტ კომიტეტისა, კომუნ. პარტ. თფილისის კომიტ. არმიის პოლიტ. განყ., პროფეს. კავშ. საბჭ., სახალხო განათლების კომისარიატის და სააგენტოს წარმომადგენლებისაგან 1 მაისის სადღესასწაულო წესის შესამუშავებლად. შესდგა უკვე ცენტრალურ კომისიის ორი სხდომა, რომელმაც თავის შემადგენლობიდან გამოჰყო ცალკე ქვე-კომისიები: სათეატრო, სამხატვრო, საბავშვო და მსვლელობის ორგანიზაციისა.

წინასწარი გეგმა დღესასწაულის მოწყობისა უკვე მზათაა, რის გამოც ცენტრალური კომისია აპირებს მოაწყოს დღესასწაული არა მარტო თბილისში, არამედ პროვინციებშიც. კომისიის შუამდგომლობით საქართველოს რევკომმა გადასდო ამისათვის საჭირო თანხა. სათეატრო კომისიამ 12 აპრილს მოახდინა კრება, რომელსაც დაესწრენ ყველა თეატრის წარმომადგენლები, შემუშავდა წინასწარი გეგმა სათეატრო წარმოდგენლებისა 1-ლ მაისის დღეს, რომელიც უნდა წარედგინოს ცენტრალურ კომიტეტს გადასასინჯად და დასამტკიცებლად. ამ სხდომაზე არჩეულ იქმნა განსაკუთრებულ რეჟისორთა საბჭო: მორდკინის, პერესტიანის, ერანოვის, აბაშიძის, ფომინის და ტუგანოვის შემადგენლობით. ამ საბჭომ უნდა შეიმუშაოს გეგმა საზეიმო სკოლისა და სახალხო წარმოდგენებისა. მუშაობა სწარმოებს სასწრაფოდ.

# მთავრობის მოქმედება და განკარგულებანი

**ცირკულიარი.**

**ყველა დაწესებულებებს და წარმოებათ.**

შრომის სახალხო კომისარიატი ამით გაუწყებთ, რომ თუ რომელიმე დაწესებულებას ხელთ არა აქვს არავითარი წერილობითი საბუთი იმისა, რომ ამ დაწესებულების მოსამსახურეს უკვე მიღებული აქვს მარტის თვის ჯამაგირი ან სხვა რაიმე ნივთიერი დახმარება, ასეთ შემთხვევებში დაწესებულებამ მუშა მოსამსახურენი სათანადო ჯამაგირით უნდა დააკმაყოფილოს და აგრეთვე № 30 ბრძანების და მისი ცირკულიარულ განმარტების თანახმად, მისცეს ერთდროული დახმარება 10.000 მანეთი.

კოლეგიის წევრი **მიქაძე.**

საქმეთა მმართველი **მ. ბერძნიშვილი.**

საინფორმაციო განყოფილების გამგე **ალ. ლომთაძე.**

**კერძო ვაჭრობის თავისუფლება.**

საქართველოს რევკომმა მიმართა სახალხო მეურნეობის საბჭოს პრეზიდიუმს შემდეგი მიმართვით კერძო ვაჭრობის თავისუფლების საკითხის შესახებ. საქართველოს რევკომს ჰქონდა რამოდენიმე კერძო შემთხვევა სახალხო მეურნეობის საბჭოს პრეზიდიუმთან მიმართვისა, ზოგიერთ წვრილ დაბეჭდილ სახელოსნოების გახსნის შესახებ. ყოველი ამგვარი შემთხვევა არის მაგალითი ძირითადი პრინციპის პრაქტიკული განხორციელებისა, რომელზედაც ემყარება საბჭოთა ხელისუფლება წვრილ ვაჭრობის საკითხში. ეს არის ძირითადი პრინციპი კერძო ინიციატივის, თავისუფლებისა და ვაჭრობა-მრეწველობის თავისუფალ წარმოებისა, პრინციპი, რომელიც შეითვისა ფართო მასსამ როგორც დაურღვეველი კანონი. დღევანდელ პირობებში ყოველნაირი შევიწროება აღნიშნულ ხასიათის ვაჭრობა-მრეწველობისა, ერთი მხრით გამოიწვევდა თანდათანობითი დაღუპვას ვაჭრობა-მრეწველობისა და მეორე მხრით არავითარ სარგებლობას არ მოუტანს სახელმწიფო მეურნეობას.

ავღნიშნავთ რა ამას, გაცნობებთ სახელმძღვანელოთ: რომ ყოველივე შევიწროება, რომელსაც ჰქონდა აქამდის ადგილი (სახელოსნოების და წვრილ დუქნების დაბეჭდვა) უნდა იქნეს მოხსნილი, და მომავალში სასტიკათ უნდა იქნას გატარებული ცხოვრებაში პრინციპი თავისუფალ კერძო ინიციატივისა და მოქმედებისა.

რევკომის თავმჯდომარის მოადგილე **ორახელაშვილი.**

მთავრობის საქმეთა გამგე **ბ. ბიბინეიშვილი.**

## ბრძანება № 6

**საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტთან არსებულ კონტრ რევოლიუციის, სპეკულიაციის, საბოტაჟის, სამსახურში ბოროტ-მოქმედების და ბანდიტიზმის წინაალმდეგ მებრძოლ საგანგებო კომისიისა.**

1921 წლის აპრილის 17-ს. ქალაქი თბილისი.

უკანასკნელ დღეებში საქართველოს მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დაუძინებელი მტრები მახრჩობელა ანტანტის და საბოლოოდ გაკოტრებული მცარცველების გამოჩერჩეტებამდე და სასოწარკვეთილობამდე მისული მენშევიკების და ყველა ჯურის თეთრგვარდიელთა აგენტები, რომელთაც განიცადეს მუშათა და გლეხთა პირდაპირი ბრძოლაში უკანასკნელი და სასტიკი დამარცხების სიავე და დაჰკარგეს რა ელემენტარული პატიოსნება და რიგიანობა, უკანასკნელად (ცოდვავად) ლაქლაქობენ და გველურ სისინით ლამობენ ატმოსფერის მოწამვლას და შეუძლებელი პირობების შექმნას საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად საქართველოში და სურთ შექმნან პანიკა პოლიტიკის გარეშე მდგარ მცხოვრებლებში და ნაკლებად შეგნებულ მასაში. ისტორიის მიერ სამუდამოდ განწირული, მუშათა და გლეხთა ტიტანურ რევოლიუციონურ ბრძოლის საბრალო და უვარგი ნაყარნუყარნი კიდევ არ ჰკარგვენ იმედს ისტორიის მობრუნებისას, დაკარგული კეთილდღეობის და უპირატესობათა დაბრუნებისას. დაჰკარგეს რა უნარი და გამბედაობა პირდაპირ და პატიოსნური ბრძოლისა, ისინი მიიმალნენ ბნელ კუთხეებში და იქიდან ჰყომბენ შხამიან ენას. ქალაქში გავრცელებულია ათასნაირი უაზრო ხმები, იბმება უსაზიზღრესი პროვოკაციის ქსელი იმის შესახებ, ვითომც წითელ ლაშქარს საქართველოს მუშათა და გლეხთა მთავრობის ნებართვით განზრახული ჰქონდეს ქალაქში მოახდინოს საყოველთაო ჩხრეკა, ცარცვა და კონფისკაცია მოქალაქეთა პირადი ქონებისა, ე. ი. მოაწყოს, როგორც ისინი ამბობენ: „ცარცვის კვირა“. საქართველოს საგანგებო კომისია, რომელიც პროლეტარული რევოლიუციის მტრების დაუნდობელი, სამართლიანი დამსჯელია, წინადადებას აძლევს ქალაქ თფილისის ყველა მცხოვრებთ, არ აჰყვებიან ამ უსაზიზღრეს პროვოკაციას, და პირიქით, თვითონ გაბედულად შეებრძოლონ მოჩურჩულეთ და ხმების უნიადაგო განზრახ გამავრცელებელთ. იგი აცხადებს ყველას გასაგონად და განსაკუთრებით საძაგელი პროვოკატორების ცნობად, რომ ერთი წუთითაც არ მოითმენს მათ საზიზღარ მუშაობას და სასტიკი ზომებით თავის დროზე აღკვეთავს მას. ყველას, ვინც შენიშნული იქნება პროვოკაციულ ხმების გავრცელებაში, რომელთაც მიზნად დაუსახავს წითელ ლაშქარს ცილი დასწამონ და მუშათა და გლეხთა მთავრობის ავტორიტეტი შეარყიონ—საქართველოს საგანგებო კომისია დაუნდობლად დასჯის, დახვრეტს კიდეც. შავი კონტრ რევოლიუციის არაწმინდებს ნუ დაავიწყდებათ, რომ არსებობს საზღვარი საბჭოთა ხელისუფლების გულკეთილობისა და დანდობისა და ყველა ისინი, ვინც მიმალულნი არიან თავის ბნელ კუთხეებში და იქიდან სწამლავენ ატმოსფერას, ვერ დაემალებიან საგანგებო კომისიის ფხიზელ თვალს და თავის დროზე იქნებიან გაჭყლეტილნი თავის სოროში. თავმჯდომარე კ. ცინცაძე. საადმინისტრაციო საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ვ. წივწივაძე, მდივანი პავლე იაშვილი.

## ბრძანება № 7.

**საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტთან არსებულ კონტრრევოლიუციის, სპეკულიაციის, საბოტაჟის, სამსახურში ბოროტ მოქმედების და ბანდიტიზმის წინაალმდეგ მებრძოლ საგანგებო კომისიისა.**

1921 წ. აპრილის 15-ს ქ. თფილისი.

უკანასკნელ დროს სხვა და სხვა ჯურის ბნელ ელემენტებმა ქალაქ თფილისში და მის სანახებში გახშირეს სხვა და სხვა თათბირის გამართვა, პროვოკაციულ ხმების გავრცელების მიზნით, როგორც საბჭოთა ხელისუფლების, ისე ცალკე მისი ორგანოების წინაალმდეგ.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის საგანგებო კომისია, უდგას რა დარაჯათ რევოლიუციონურ წესრიგს და მოქალაქეთა პირად უშიშროებას, აცხადებს, მე 3 კომუნისტურ ინტერნაციონალის ნიადაგზე არ მდგომ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციების საყურადღებოდ, რომ ყოველნაირი კრება, თათბირი, სხდომა და სხვა ამ გვარი თფილისში შეიძლება გაიმართოს საქართველოს საგანგებო კომისიის ნებართვით, ხოლო გუბერნიებში სათანადო რევკომის ან საგანგებო კომისიის განყოფილების — პოლიტიკურ ბიუროს მიერ და ამიტომ ნებართვის მისაღებად საჭიროა რამდენიმე დღით ადრე, არა უგვიანეს სამი დღისა შეტანილ იქმნას წერილობითი განცხადება და უნდა აღინიშნოს: 1) ვინ მართავს კრებას, თათბირს, 2) კრების განსახილავი საგნები, 3) ადგილი კრებისა, 4) დრო კრებისა. ყველა კრებები, თათბირები და სხვა ამგვარი ზემოაღნიშნულ ორგანოების ნებადაურთველად გამართულნი, გაუფრთხილებლად დაშლილი იქნება, ხოლო მათი ინიციატორები დატუსაღებულნი და სამართალში მიცემულნი, როგორც არსებული წესწყობილების წინაალმდეგ შეთქმულნი. ამ ბრძანების სწორე და უცვლელი ასრულების თვალყურის დევნება ევალება საუბნო სამილიციო კომისარიატებს.

ეს ბრძანება ძალაში შედის დღიდან გამოქვეყნებისა.

**შენიშვნა:** ორგანიზაციები და პარტიები, რომელნიც საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე სდგანან, ყველა კრების, თათბირების, ლექციების და სხვათა შესახებ, მხოლოდ აცნობებენ საქართველოს საგანგებო კომისიას.

საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარე კ. ცინცაძე

საადმინისტრაციო - საორგანიზაციო განყოფილების უფროსი **ვ. წივწივაძე.**

მდივანი იაშვილი.

## ცირკულიარულად.

**პროფესიონალურ საწარმოო კავშირებს.**

წინადადებას ვაძლევთ ყველა პროფესიონალურ კავშირს და დაწესებულებას, ვინც კი კონფლიქტს არჩევს, აწარმოოს კონფლიქტების სწორი რეგისტრაცია აქვე დართულ ფორმების და ინსტრუქციის თანახმად.

ბლანკების და ინსტრუქციების მიღება შეიძლება საქართველოს პროფეს. კავშირთა საბჭოს შრომის სტატისტიკურ განყოფილებაში. (მუშათა სასახლე, ოთახი № 4, ქალ. თბილისი.)

პირველ საანგარიშო თვედ ითვლება ა. წ. აპრილი.

საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ყურულიშვილი.**

სტატისტიკურ განყოფილების გამგე **ვ. მათვეევი.**

**ინსტრუქცია კონფლიქტების აღრიცხვის შესახებ.**

1. ყოველი კონფლიქტი, რომელიც შემოდის გასარჩევად პროფესიონალურ კავშირსა ან მისი საკონფლიქტო განყოფილებაში, უთუოდ უნდა აღინუსხოს რეგისტრაციის წესით.

2. კონფლიქტების რეგისტრაცია ხდება № 1 ფორმის ბლანკებზე. № 1 ფორმის ბლანკები იხმარება საქმის წარმოებისათვის და მათზევე აღინიშნება დაწვრილებითი ცნობები კონფლიქტის შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახებ საქმის მსვლელობის და მიხედვით.

3. ყველა ის კონფლიქტი, რომელსაც თანდასდევს გაფიცვები, შეტანილ უნდა იქნას, გარდა № 1 ფორმის ბლანკისა, გაფიცვის ბლანკზედაც—ფორმა № 2.

4. ერთი და იმავე მიზეზით გამოწვეული გაფიცვის აღსანიშნავათ, რომელიც რამოდენიმე წარმოებაზე ვრცელდება, იხმარება (ყველა წარმოებების ჩაწერით) ერთი ცალი № 1 ფორმის ბლანკი; იგივე წარმოებების გაფიცვის თაობაზე იწერება აგრეთვე ერთი ცალი № 2 ფორმის ბლანკისა (გაფიცვის ბლანკის დამატება) მხოლოდ ცნობები გაფიცვაზე იკრიბება ყველა წარმოებისათვის ცალ-ცალკე.

5. საკონფლიქტო განყოფილებას, თვის დასაწყისში, ანგარიშში მოჰყავს წარსულ თვის განმავლობაში დათავებული კონფლიქტების ბლანკები (ა)—გარჩეული, ბ)—რაიმე მიზეზის გამო შეწყვეტილი ან გ)—სხვა დაწესებულებებზე გასარჩევად გადაცემულ კონფლიქტებისა).

აღნუსხვა ხდება № 3 ფორმის ტაბულაზე „საკონფლიქტო განყოფილების მოქმედების ანგარიშში".

6. № 3 ფორმის სანუსხავ ტაბულის დუბლიკატი უნდა წარედგინოს პროფესიონალ კავშირთა საბჭოს სტატისტიკურ განყოფილებას ყოველ თვის არა უგვიანეს მე-5-ე რიცხვისა.

7. ტაბულებთან ერთად პროფესიონალ კავშირთა საბჭოს სტატისტიკურ განყოფილებაში იგზავნება ბლანკები ყველა კონფლიქტების თაობაზე, რომლის მონაწილე 5 კაცს აღემატება და აგრეთვე იმ კონფლიქტებისა, რომელთაც თანასდევს გაფიცვები.

შრომის სახალხო კომისარი **ლ. დუმბაძე.**

საქართველოს პროფ. კავშირთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჟურულაშვილი.**

სტატისტიკურ განყოფილების გამგე **მათვეევი.**

**დროებითი დებულება**

სამსახურის გამო წარდგენილ თანამშრომელთა გასამრჯელოთი დაკმაყოფილებისათვის.

დროებით, ვიდრე რესპუბლიკის სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებებს და წარმოების თანამშრომელთათვის სურსათის მაწოდება-მომარაგება მოწესრიგდებოდეს, სამსახურის გამო წარვლენილ თანამშრომელთ წარვლენაში გატარებულ დროის გასამრჯელოდ მიეცეს: თითეულ დღეში ერთი მეთხუთმეტი ნაწილი თვიურ ჯამაგირისა და გზის სრული ხარჯი (რკინის გზის ბილეთის ან ეტლის ფასი წარვლენის ადგილამდე და უკან, აგრეთვე ყოველ ქალაქში, გამგზავრების პუნქტითურთ, ორ გზობა ეტლზე გაწეული ხარჯი.)

შრომის სახალხო კომისარი **ლ. დუმბაძე.** ს. ს. კ. ს. მდივანი **კურულიშვილი.** სანორმო განყოფილების გამგე **ჯუღელი.**

## ბრძანება № 35

**საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა**

თანახმად საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წლის მარტის 30-ს დადგენილებისა, ამხ. ტერ გრიგორიანი დანიშნულია სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს მართველად.

ამხ. ტერ-გრიგორიანს წინადადება ეძლევა დაუყონებლივ შეუდგეს ხსენებული სამმართველოს მოწყობის საქმეს.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ორახელაშვილი.**

რევკომის მდივანი **გაბრიჩიძე.**

1921 წ. აპრილის 12.

ქ. თბილისი—სასახლე.

დედანთან სწორია.

**ნ. კვირკელია.**

**რევოლიუციონურ კომიტეტის დეკრეტი ნაფიც ვექილთა ინსტიტუტის დათხოვნის შესახებ.**

ვინაიდან საბჭოთა სასამართლოების შემოღების შემდეგ ნაფიც ვექილთა ინსტიტუტის არსებობა აღარ ამართლებს თავის პირდაპირ დანიშნულებას, ამიტომ საქართველოს საბჭოთა მთელ რესპუბლიკაში ნაფიც-ვექილთა ინსტიტუტი დათხოვნილად ჩაითვალოს.

რევკომის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

იუსტიციის კომისარი **ნაზარეტიანი.**

1921 წ. აპრ. 7-ს.

**ს. ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისრის ბრძანება № 11.**

ცხადდება ყველა საზოგადო ორგანიზაციების, სავაჭრო ფირმების და წარმოებათა მეპატრონეების საყურადღებოთ, რომლებმაც ისარგებლეს ბანკის კრედიტით სესხის სახით მიღებულ საქონლით, რომლებიც იყო დარჩენილი შესანახათ კერძო კლიენტების კუთვნილ საწყობებში, რომ აღნიშნული ორგანიზაციები და პირები პასუხისმგებელი არიან გირავნობაში მყოფ საქონლის მთლიანობისა და შენახვაში მთელის მათი ქონებით და რომ მათთან შესანახათ დატოვებულ საქონლის დამალვისა და გაფლანგვისათვის დაისჯებიან უმაღლესი სასჯელით.

ს. ს. ს. რ. ფინანსთა კომისარი **ნაზარეტიანი.**

# ქრონიკა

**◆ კოტე ყიფიანის გარდაცვალება.** სახელმწიფო დრამის დირექცია, რეჟისურა და მსახიობნი აუწყებენ საქართველოს მოქალაქეთ, რომ აპრილის 17 გარდაიცვალა ქართული თეატრის დამსახურებული მსახიობი კოტე ყიფიანი. პანაშვიდი ქაშვეთის ეკლესიაში ყოველ დღე საღ. 6 ს. დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება

**◆ კოტე ყიფიანის გარდაცვალების გამო.** სახელმწიფო დრამის დირექცია აპრილის 19-ს საღამოს 5 საათზე იწვევს ამავე თეატრში ყველა კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენელთ მსახიობ კ. ყიფიანის დამკრძალავ კომისიის დასაარსებლად.

**შრომის სახალხო კომისარიატში.** შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ 9 აპრილის სხდომაზე დაადგინა: ეთხოვოს საქართველოს რევკომს, რომ გამოწვეულ იქმნეს რუსეთიდან ამხ. ლომთათიძე, ერთი თვით მაინც, როგორც ინსტრუქტორი შრომის განათლებისა და ამავე დროს ეთხოვოს, რომ ამხ. ლომთათიძემ მოიტანოს თან აუცილებელი ლიტერატურა.

**◆ წყალსადენი.** ქალაქისთვის ყოველდღიური წყლის მიწოდება უდრის 1,200,000 ვედროს. წყლის ეს რაოდენობა მაინც არ კმარა, რის გამოც ხელახლად შემოღებულია რაიონებში წყლის მიწოდება. ფილტრებით იწმინდება 80% მიწოდებულ ქალაქისადმი წყლისა და 20% იწმინდება დასალექი მანქანით.

**◆ გამოცდების მოსპობა.** თანახმად სახალხო განათლების კომისარიატის დადგენილებისა, მოწაფეების გადაყვანა კლასიდან კლასში ან ატესტატების მიცემა უნდა სწარმოებდეს წლიურ ნიშნების მიხედვით.

**◆ მოსწავლეთა დათხოვნა.** სასწავლებელთა მთავარ გამგემ ცირკულიარულად აცნობა სასწავლებელთა დირექტორებს და საშუალო სასწავლებელთა გამგეებს, რომ სახალხო განათლების კომისარიატის დადგენილებით, საქართველოს რესპუბლიკის ყოველგვარ სასწავლებელთა მოსწავლენი უნდა დათხოვნილ იქმნენ სააღდგომოთ 27 აპრილიდან.

**◆ ხელოვნების სასახლეში.** სამშაბათს, 19 აპრილს, საღამოს 6-ს საათზე შესდგება პირველი სხდომა „პოეზიის აკადემიის". მოხსენებას წაიკითხავს გრიგოლ რობაქიძე შემდეგ თემაზე **„ნოვალისის პოეტიკა".**

# ხელოვნება

**პოეზიის აკადემია.**

ქართულ ხელოვნების სასახლეში მწერალთა ჯგუფის მიერ არსდება პოეზიის აკადემია. ინციატორთა აზრით ეს აკადემია იქნება ისე, როგორც აკადემიის სკოლა პოეზიის ლაბორატორიად, სადაც ახალგაზრდა პოეტნი შეისწავლიან ლექსის ტექნიკას. აკადემიის მიზანია მოამზადოს ახალგაზრდა მწერლები და დაწვრილებით გააცნოს ისინი პოეზიას. აქვე დაარსდება ლაბორატორია პროლეტარულ პოეზიის შესასწავლად.

**სახელმწიფო დრამაში.**

სახელმწიფო დრამაში მზადდება დასადგმელად ქართულ ენაზე „თამარ ცბიერი" წერეთლისა და „შეშლილნი" ტრ. რამიშვილისა. აღნიშნულ პიესების რეპეტიცები უკვე დაიწყო. მზადდება ახალი ტანისამოსი და დეკორაციები.

**ცენტრალური მუშათა კლუბი.**

ცენტრალურ მუშათა კლუბის თეატრი გაიხსნება კვირას, 24 აპრილს, შერჩეული პროგრამით. პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ გადაწყვიტა, რათა სასწრაფოდ იდღესასწაულონ მუშათა ცენტრალურ კლუბის გახსნა, რომელიც უკვე მოწყობილია დეკორაციებით და სხვ.

**მუშათა აუდიტორია.**

მუშათა აუდიტორიაში იხსნება რამდენიმე დრამატიული სტუდიები ქართული, რუსული და სომხური. მასწავლებლებათ მოწვეულნი არიან საუკეთესო არტისტული ძალები.

**ქართულ პოეზიის ალმანახი.**

1 მაისს ქართულ პოეტების რ. გვეტაძის და ობოლი მუშის მიერ გამოცემული იქნება ქართულ პოეზიის ალმანახი „ნაპრალევი"-ს სახელწოდებით. ალმანახში მიიღებენ მონაწილეობას ქართული პოეზიის ყველა მიმართულების მწერლები.

# პარტიული ცხოვრება

**კომპარტიაში.**

მეოთხე რაიონთან დაარსდა ქალაქ თბილისის უმაღლეს სასწავლებლების კომუნისტ სტუდენტთა ორგანიზაციების ცენტრალური ბიურო. ბიუროში შედიან წარმომადგენლები: ყოფილ ამიერკავკ სიის უნივერსიტეტისა, პოლიტეხნიკუმის, სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კბილის საექიმო კურსების კომუნისტურ ფრაქციებისა.

ცენტრალურ ბიუროს აზრად აქვს მოკლე ხანში თავისი ბეჭდითი ორგანო გამოსცეს.

**ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირი.**

ამ დღეებში არჩეულ იქმნა საქართველოს ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის თბილისის კომიტეტი ახალის შემადგენლობით. კომიტეტი მუშაობას ენერგიულად შეუდგა. რაიონებში პასუხისმგებელი მდივნები და პასუხისმგებელი ბიუროები დაინიშნა.

კომუნისტურ პარტიის თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. კანდელაკმა და ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის თბილისის კომიტეტის მდივანმა ძნელაძემ მიმართეს კომპარტიის და ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის ქ. თბილისის და მაზრის ყველა რაიონებს შემდეგი წერილით:

„მხანაგებო, ორი თვემ გაიარა მას შემდეგ, რაც საქართველოში საბჭოთა ძალა-უფლება დამყარდა და მას შემდეგ მჭიდრო კავშირი არ გაბმულა კომპარტიის რაიონულ კომიტეტებისა ერთის მხრივ და მეორეს მხრივ ახალგაზრდა კომუნისტურ კავშირს შორის.

ასეთი არა ნორმალურ მდგომარეობის თავიდან ასაცდენად კომპარტიისა და ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის თბილისის კომიტეტები წინადადებას აძლევენ კომპარტიის ყველა სარაიონო კომიტეტებს გამოგზავნონ თითო წარმომადგენელი ახალგაზ. კომუნისტთა კავშირის სარაიონო კომიტეტში გადამწყვეტის ხმით, ხოლო ახალგ. კომ. კავშირის ყველა სარაიონო კომიტეტებმა თითო წარმომადგენელი სათათბირო ხმით კომპარტიის სარაიონო კომიტეტში:

მხოლოდ იმ საკითხების განხილვის დროს, რომელიც ეხება ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირს, მისი წარმომადგენლები გადამწყვეტი ხმით სარგებლობენ. ასეთი შეთანხმებული წარმომადგენლობა ჰქმნის სამერმისოდ კომუნისტურ მუშაობაში კონტაქტის შესაძლებლობას. ზემოაღნიშნულისა ცხოვრებაში გასატარებლათ სასწრაფოთ ეცნობოს ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირს და კომპარტიის თბილისის კომიტეტებს."

# პროფესიონალურ კავშირებში

**მელითონეთა კავშირში.**

9 აპრილს შესდგა მელითონეთა კავშირის საადმინისტრაციო ტეხნიკურ შემადგენლობის და გამგეობის კრება, რომელზედაც ამხ. როხლინმა მოხსენება გააკეთა სპეცების როლის შესახებ სახალხო მეურნეობის ორგანიზაციებში. სახალხო მეურნეობის განყოფილების გამგემ ამხ. ბირიუკოვმა განმარტა ის გეგმა, რომელიც დაისახა სახალხო მეურნეობამ საქართველოში წარმოების რეორგანიზაციისათვის და კერძოთ აღნიშნა დამოკიდებულება წვრილ წარმოებისა და შინამრეწველობისადმი. ამხ. ბირიუკოვმა კრებას გააცნო აგრეთვე მსხვილ წარმოებათა მომავალი ნაციონალიზაციის გეგმა. კამათის დროს ელექტრონის სადგურის მუშებმა აღნიშნეს, რომ სადგურის ნაციონალიზაციის დაგვიანება გამოიწვევს მის ნაადრევათ დანგრევას, რადგანაც პატრონები მოელიან რა ნაციონალიზაციას, სრულიად აღარ ფიქრობენ მანქანების შეკეთებაზე. ამას გარდა სადგურს არა აქვს შეკეთებისათვის საჭირო მასალა. ელექტრონის სადგური, მუშებმა გამოსთქვეს მოსაზრება, რომ უნდა მოწვეულ იქმნას სპეციალური თათბირი, რომელიც მოაგვარებს საერთოდ ელექტრონის სადგურების ბედის საკითხს. ლითონის დამმუშავებელ წარმოებათა პატრონებმა სთხოვეს განუმარტონ, რამდენათ შეუძლიათ მათ ისარგებლონ თავიანთ წარმოებით და მასალით.

მელითონეთა კავშირში მისს საბოლოოთ მოწყობის შემდეგ შევიდნენ: 12 ელექტრონის სადგური და 15 ლითონის დამმუშავებელი წარმოება.

**კავშირი „სურსათი".**

13 აპრილს შესდგა კავშირ "სურსათის" მუშათა სხდომა. მოისმინეს ამხ. სეროპიანის მოხსენება კავშირის რეორგანიზაციის და სექციის გაუქმების შესახებ. ამხ. სეროპიანის განცხადებით დღემდე იყვნენ სექციები, რომლებიც შედიოდენ სურსათის მუშათა კავშირში, როგორც დამოუკიდებელი ერთეული. ძველი გამგეობის დროსაც მიღებული იყო ზომები, რათა თითეულ სექციაში მუშაობის სეპარატიული ხასიათი შეცვლილი ყოფილიყო საერთო ორგანოთი მთელ კავშირის გამგეობის სახით, მაგრამ გამგეობამ მიზანს ვერ მიაღწია. ჩვენ ვიცით, როგორი გავლენა აქვს ამას ჩვენს კავშირის საქმეზე, როდესაც ერთი სექცია ან მისი გამგეობა თავის გადაწყვეტილებით, რომელიც ეწინააღმდეგება საერთო გამგეობის გადაწყვეტილებას, ასუსტებს საერთო საქმეს და დეზორგანიზაცია შეაქვს მასში. ასეთ პირობებში სექციათა დათხოვნის საკითხი ერთად ერთი გამოსავალი იყო შექმნილ მდგომარეობიდან. სეროპიანის და სხვათა მოხსენების შემდეგ ხმის უმრავლესობით გადაწყდა სექციების გაუქმება.

**მეთამბაქოეთა კავშირში.**

10 აპრილს შესდგა მეთამბაქოეთა კავშირის გამგეობის სხდომა. მოსმენილ იქმნა კრების თავმჯდომარის განცხადება იმის შესახებ, რომ აღმასრულებელ კომიტეტისაგან მოვიდა წინადადება, რათა მის განკარგულებაში გადავიდეს თამბაქოს ნაწარმოები, რომელიც ყოფილმა მენშევიკურმა მთავრობამ შეაგროვა თამბაქოს ფაბრიკებიდან ფრონტისათვის, და რომელიც ამ ჟამად მეთამბაქოეთა კავშირში ინახება. კრებამ დაადგინა: თამბაქოს ნაწარმოები გადაგზავნოს აღმასრულებელ კომიტეტში უმუშევართა შორის დასარიგებლათ. შემდეგ მოსმენილ იქმნა ამხ. მიკირტიჩევის მოხსენება სააღდგომო საჩუქრების შესახებ. ფაბრიკის ტრადიციების მიხედვით ჩვეულებრივ სააღდგომოდ და საახალწლოდ დიდი მეპატრონეები მოსამსახურეებს და მუშებს აძლევდნენ ჯილდოს, რისთვისაც ამხ. მიკირტიჩევი ითხოვს ნება დაერთოს ამ წელშიაც გაიცეს ასეთი საჩუქრები. მიიღო რა მხედველობაში მუშათა და მოსამსახურეთა მძიმე ეკონომიური მდგომარეობა და აგრეთვე ის, რომ მრეწველობის სხვა დარგთა მუშები, მაგალითად, დაბალები, რომლებიც ნარდათ მუშაობენ, თვეში ღებულობენ 40 ათას მანეთს, გამგეობამ ერთხმად დაადგინა: მუშებს და მოსამსახურეებს მომავალ დღესასწაულებისათვის მიეცეს 30 ათასი მანეთი ერთდროულად.

ბოლოს მოისმინეს პირველი მაისის დღესასწაულის მოწყობის საკითხი. მოისმინეს რა თავმჯდომარის განმარტება პირველი მაისის დღესასწაულის მნიშვნელობის შესახებ, რომელმაც აღნიშნა რომ პროლეტარულ საქართველოს კაპიტალიზმიდან განთავისუფლების შემდეგ პირველად უხდება ამ დღის დღესასწაული. კრებამ დაადგინა: მიენდოს კულტურულ განყოფილებას და კავშირისათვის დროშის შემქნე კომისიას შეიმუშაონ დღესასწაულის წესრიგი და აგრეთვე დაამზადონ ამ დღისთვის კავშირის დროშა, რისთვისაც გადაიდვას კომისიის განკარგულებაში სამასი ათასი მანეთი. შემდეგ მოხდა კომისიის არჩევნები. არჩეულ იქმნენ ამხ. ანანიკიანცი, თარუმიანი, მატინიანი, ვართანოვი და ანტონოვი.

**ძაფების მახალის დამმუშავებელთა კავშირი.**

13 აპრილს მოხდა ძაფეულობის მასალის დამმუშავებელ კავშირის გამგეობის სხდომა. დაადგინეს ჟარყოფილ იქნეს საკონფლიქტო კომისიის არჩევა და კონფლიქტების გარჩევა მიენდოს კავშირის პრეზიდიუმს. მომავალ არჩევნების მოწყობა მიენდო საორგანიზაციო კომისიას, მან 2 დღის განმავლობაში ხელახლათ უნდა აარჩიოს ადგილობრივი ზავ-კომები და მოიწვიოს დელეგატთა სხდომა კვირისთვის, 17 აპრილს, დილ. ს 10 საათზე, კავშირის გამგეობაში. დღის წესრიგი: 1) მიმდინარე მომენტი (წარმოების კავშირთა როლი და მიზნები), 2) გამგეობის მოხსენება, 3) დროებითი გამგეობის არჩევნები, 4) სარევიზიო კომისიის არჩევნები და 5) მიმდინარე საკითხები.

დასასრულ, განიხილეს დამრთავთა და მჩეჩავთათვის ტარიფი, შემუშავებული სატარიფო-სანორმო კომისიის მიერ. ახალ ტარიფის თანახმათ, ასეთი ფასები გადაწყვეტილი: 1) ორწვერი ნართი პირველი ხარისხისა 4 გირვ. თვეში, თითო გირვანქა—2,800 მან. 2) ნართი მე-2 ხარისხისა 7 გირვ. თვეში, თითო გირვანქა—1600 მან. 3) ნართი ასეთივე მე 2 ხარისხისა. 12 გირვ. თვეში, თითო გირვანქა - 930 მან. და 5) მატყლის ჩეჩვა, 48 გირვ. თვეში, თითო გირვანქა 250 მან. ეს ფასები გამგეობამ დაამტკიცა და დაადგინა ეთხოვოს სატარიფო სანორმო კომისიას განიხილოს და დაამტკიცოს აღნიშნული ტარიფები 1 აპრილიდან სასწრაფო წესით, ვინაიდან მუშა ქალებს, ტარიფის უქონლობის გამო, აღარ მიაქვთ მატყლი დასამუშავებლათ და მთელ საშინაო მრეწველობას ემუქრის საფრთხე წარმოებითი მუშაობის შეჩერება.

# მუშათა ცხოვრება

**პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!**

პროფ-საწარმოო კავშირთა საბჭოს კულტ-განყოფილება მოგმართავთ თქვენ, ამხანაგო მუშებო და მუშა ქალებო.

პროლეტარულ რევოლიუციის წითელი დროშა ამაყათ ფრიალებს საბჭოთა საქართველოში. უკვე ორი თვეა, რაც პროლეტარიატის ხელშია უმაღლესი ხელისუფლება, რაც ის თავის ბედის ბატონ-პატრონია და რაც სახელმწიფოებრივი გემის საჭე მისავე საიმედო ხელშია.

დღეს პროლეტარიატის წინაშე დიადი მიზნებია დასახული, მან უნდა შეიტანოს კლასიური თვითშეგნება ჩამორჩენილ ამხანაგებში, უნდა აამაღლოს მასების კულტურული ლონე, უნდა შექმნას თავისი კულტურა. და ყველაფერი ეს უნდა გავაკეთოთ ჩვენ და არა სხვამ. ჩვენ კარგათ ვიცით, როგორ „აგვგანათლა" ბურჟუაზიამ.

ს. პ. კ. ს. კულტურული განყოფილება, რომელმაც თავზე აიღო მასების განათლების საქმე, მიმართავს ამხანაგ მუშებს და სთხოვს მათ დახმარებას ამ დიდ მუშაობაში. ეხლა მუშათა კლუბი უნდა გადიქცეს მუშათა განათლების აკვნათ. ცენტრალური მუშათა კლუბის რეორგანიზაცია უკვე მოხდა. აპრილის 26-ს ის გახსნილი იქნება. რასაკვირველია, კლუბში არ იქნება ლოტოს თამაში, ღვინით ვაჭრობა, სრული თოფებიდან და ყველა ის „გასართობები", რომლის წყალობით აქამდი მუშათა კლასი სიბნელეში იმყოფებოდა.

გამგეობა ხსნის კლუბთან 5 სტუდიას: დრამატიულს (ქართულ და რუსულ სექციებით), სამხატვრო, მუსიკალურ, სალიტერატურო და პლასტიკის და რითმიულ გიმნასტიკის. ყველა ამ სტუდიებში იქნება მცირე განყოფილებანი მუშათა ბავშვებისთვის (კლუბის გამგეობა იწვევს სტუდიების სახელმძღვანელოთ გამოცდილ და პასუხისმგებელ მომუშავეებს), სტუდიასთან იარსებებს რამდენიმე განმანათლებელი წრე. კლუბთანვე იქნება ბიბლიოთეკა-სამკითხველოც. სტუდიაში სწავლა, კლუბში შესვლა, და კლუბის ყველა ორგანიზაციებით სარგებლობა სრულიად უფასოა კლუბის წევრთათვის. კლუბთან იარსებებს საბავშვო სახლი, სადაც მუშები დაარჩენენ თავის ძუძუ-მწოვარ ბავშვებს. კლუბში შემოღებული იქნება ისეთი გასართობები, როგორიცაა ჭადრაკი და სხვა, მოეწყობა იაფათ საჩაიე. როგორც კარგი ამინდები დადგება, კლუბი გადავა თავის საზაფხულო შენობაში, მასთან იარსებებს საექსკურსიო განყოფილება. თვითეული პროლეტარი, პროფს. კავ. წევრი მოვალეა ჩაეწეროს კლუბის წევრათ. გახსოვდეთ, მუშათა ცენტრალური კლუბის გახსნა დანიშნულია 24 ს. ა. თ. დრო ძალიან ცოტა დარჩა, ჩაეწერეთ საჩქაროთ თქვენ კლუბში. კლუბი იმყოფება ძველ შენობაში: პლეხანოვის ქ., № 23. კანცელარია ღიაა დილის 11—1 საათამდის და საღამოს 6—10 საათამდის.

**მუშათა ცენტ. კლუბის გამგეობა.**

# პროვინციაში

**ნაგომარი.**

6 აპრილს 1921 წ. ნაგომრის თემში შესდგა მიტინგი. მოხსენება გააკეთეს მიმდინარე მომენტზე ამხ. კ. გურგენიძემ და გ. გოგიბერიძემ. მიტინგზე შემოვიდა მრავალი შეკითხვები, რაზედაც მომხსენებლებმა გასცეს სათანადო პასუხი. მიტინგმა ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: კომ. პარტია და მისი მთავრობა არის ერთად-ერთი დამცველი მუშათა და გლეხთა ინტერესების და ჩვენ მზათა ვართ ასეთ მთავრობას მხარი დაუჭიროთ საბოლოო გასამარჯვებლად მუშათა კლასის მტრებთან ბრძოლაში.

გაუმარჯოს კომ. პარტიას!

გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს და მის ლაშქარს წითელ არმიას!

გაუმარჯოს საქ. საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

8 აპრილს 1921 წ. ს. აჭის და აცხაბადევის შეერთებულმა მიტინგმა მოისმინა მოხსენება მიმდინარე მომენტზე გ. ც. კ. მიერ გამოგზავნილი ამხ. გ. გოგიბერიძის და დაადგინა შემდეგი: ს. აჭის და აცხაბადევის მუსულმანი ქართველები უძღვნის სალამს საქართველოს კომ. პარტიას და მის მთავრობას. კომუნ. პარ. და მისი მთავრობა ნამდვილათ არის ჩაგრული ხალხის ინტერესების დამცველი. ჩვენ ქართველი მუსულმანები გაგვანთავისუფლეთ თქვენ კომუნისტებმა მენშევიკების უსაზღვრო ბატონობისგან, ამისათვის ჩვენ ვარდგენთ და ფიცს ვდებთ, რომ თქვენთან ერთად ვიშრომოთ და ვიბრძოლოთ მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ.

გაუმარჯოს ჩაგრული ხალხის ინტერესების დამცველს კომუნისტ. პარტ. და მის მთავრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას ყველა ქვეყნებში!

**ტანჯული.**

# ფოსტა

**საქართველოს კომ. პარტიის თბილისის კომიტეტს, მის სარაიონო ბიუროებს** რეგულიარულათ მოგვაწოდეთ ცნობები პარტიული მუშაობის შესახებ.

**საქართვ. კომპარტიის ორგანიზაციებს პროვინციაში.** მოგვაწოდეთ შეძლებისა დაგვარათ რეგულიარულათ ცნობები პარტიულ მუშაობის შესახებ და კორესპონდენციები პროვინციის ცხოვრებიდან.

**პროფესიონალურ კავშირებს.** მოგვაწოდეთ რეგულიარულათ ცნობები პროფესიონალურ ცხოვრების შესახებ.

— **საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი** მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— **საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი**—რუსთაველის პრ., 22. ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ჭერქეზიშვილის ქ. 136, თეატრი „ნაძალადევი". ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო— ველაბარი, კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4 ხე რაიონის ბიურო—ოლღის ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—52.

მე 5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— **საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა**—რუსთაველის პრ. 22.

**ხარედაქციო კოლეგია.**

# კომ. ახალგაზრდობის ფურცელი № 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის მე-2 კონგრესის მოწვევა

ახალგ. კომინტერნის აღმასკომმა 1920 წ. 9 ნოემბრის სხდომაზე დაადგინა მოიწვიოს მეორე მსოფლიო კონგრესი ახალგ. კომუნისტ. ინტერნაციონალისა მიმდინარე წლის 25 აპრილს.

რადგანაც დიდმნიშვნელოვანი და მეტად საჭიროებოა ის კითხვები, რომლებიც დასმულია კონგრესის დღის წესრიგში, ამიტომ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რომ მათ გადაწყვეტაში მონაწილეობა მიიღოს ყველა კომუნისტურმა ორგანიზაციებმა, ამიტომ აღმას. კომიტეტმა გადასწყვიტა კონგრესზე მოიწვიოს ახალგ. კომუნისტ. ორგანიზაციებს გარდა ყველა რევოლ-იუც. და ეკონომიური კავშირები ახალგაზრდობისა და საკვირაო შკოლები, რომლებიც სცნობენ ახალგ. ინტერნაციონალის პროგრამას და ამით მისცეს კონგრესს **მთელი რევოლიუციონურ-პროლეტარული ახალგაზრდობის მსოფლიო კონგრესის ხასიათი.**

აღმასრულებელმა კომიტეტმა შეიმუშავა შემდეგი დღის წესრიგი:

1) აღმასრულებელი კომიტეტის მოხსენება.

2) საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობა.

3) ეკონომიური ბრძოლა პროლეტარული ახალგაზრდობისა.

ა) ეკონომიური პროგრამა პროლეტარული კლასსიური ბრძოლის უკანასკნელ ხანაში ძალა-უფლების დაპყრობის წინ.

ბ) ამ ბრძოლის მონაწილენი (ახალგ. კომუნისტ. ორგანიზაციები, პროფესიონალური კავშირები, შეგირდების კავშირები; მათი მდგომარეობა და ურთიერთ დამოკიდებულება).

4) ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდა.

ა) აღზრდის პრობლემა შკოლებში, ფაბრიკებში და სხვ. ძალა-უფლების პროლეტარიატის ხელში გადასვლის შემდეგ.

ბ) კომუნისტური აღმზრდელობითი მუშაობა ახალგ. კომუნისტურ ორგანიზაციებში პროლეტარიატის მიერ ძალა-უფლების დაპყრობამდი.

გ) კომუნისტური აღმზრდელობითი მუშაობა საბავშვო სექციებში და საკვირაო შკოლებში.

დ) საბავშვო სექციების საერთაშორისო გაერთიანება და მათი ორგანიული დამოკიდებულება ახალგ. კომუნისტურ ორგანიზაციებთან.

5) საგიტაციო მეთოდები ახალგ. კომუნისტურ ორგანიზაციებისა:

ა) მუშური ახალგაზრდობის შორის.

ბ) გლეხური ახალგაზრდობის შორის.

გ) მოწაფეთა და სტუდენტთა შორის.

დ) კოლონიებში.

6) ანტიმილიტარისტული ტაქტიკა კომუნისტურ ახალგ. ორგანიზაციებისა.

7) ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალი და ახალგაზრდების რევოლიუციონურ-ნაციონალისტური კავშირები (ებრაელების, ირლანდიის).

8) ახალგ. კომუნისტ. ორგანიზაციების დამოკიდებულება კომუნისტურ პარტიებთან და ახალგ. კომინტერნის დამოკიდებულება კომ. ინტერნაციონალთან.

9) წინადადებები წესდების შეცვლის შესახებ.

10) ორგანიზაციული კითხვები:

ა) კითხვა ცალკე სეკრეტარიატების შესახებ და მათი დამოკიდებულება აღმასრ. კომიტეტთან ერთის მხრივ და ნაციონალურ ორგანიზაციებთან მეორეს მხრივ.

ბ) ახალგ. ინტერნაციონალის გაზეთი, მისი გამოცემა და გავრცელება ყველა ქვეყნებში და ყველა ენებზე.

გ) საერთაშორისო გამომცემლობა (პერიოდული გამოცემები, რუქები, ილლიუსტრაციები).

11) არჩევნები.

12) მიმდინარე კითხვები.

ყველა კავშირებს წინადადება ეძლევა ყოველმხრივ და საფუძვლიანათ გაარჩიონ აქ დასმული კითხვები თავის ორგანიზაციებში, კონფერენციებზე და კონგრესებზე და თავის მხრივაც წარმოადგინონ წინადადებები და რეზოლიუციები.

**ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი.**

## მეორე კონგრესი

25 აპრილს გაიხსნება ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესი. ამ კონგრესზე მიწვეულია მრავალი ახალგ. კავშირები, რომლებიც ჯერ კიდევ შესული არ არიან ახალგ. ინ-ლში. ჩვენ ვიცით, რომ პირველი კონგრესი ახალგ. ინტერნაციონალისა შესდგა ბერლინში 1919 წ. ნოემბერში. აქ წარმოდგენილი იყო 14-მდი პროლეტარული ორგანიზაციები და მათ შორის დიდი უმეტესობა ევროპიდან. ამ კონგრესზე არჩეულმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ენერგიულათ მოჰკიდა მუშაობას ხელი და დღეს ვხედავთ ჩვენ ამ დიდი მუშაობის ნაყოფს. მრავალი ახალი პროლეტარული ორგანიზაციები მიემხრო ახალგ. ინ-ლს და ამით ის 4-ჯერ უფრო გაიზარდა და გაძლიერდა. პირველი კონგრესი, მიუხედავათ იმისა, რომ ის უფრო მრავალრიცხოვანი იყო, ვიდრე სხვა ყველა უწინდელი ახალგ. კონგრესები, მაინც არ აკავშირებდა მთელი მსოფლიოს პროლეტარული ახალგაზრდობის უმეტესობას. ამ კონგრესმა მხოლოდ ამცნო მთელ კაცობრიობას თავისი არსებობა და საფუძველი ჩაუყარა ახალგაზრდობის გაერთიანებას. მან შეიმუშავა პროგრამა და წესდება, რომელიც, ცხადია, უნაკლულო არ არის. მაგრამ რაც მთავარია, იმან შესძლო დაქსაქსული ახალგ. კავშირების ერთი დროშის ქვეშ თავის მოყრა და მათი გაერთიანება. და ამის შემდეგ სწრაფათ წავიდა საქმე წინ, რადგან დრო ჩვენს სასარგებლოთ მუშაობდა და მუშაობს. კომუნისტური ახალგაზრდობის ენერგიული მუშაობის წყალობით თანდათან მეტი რიცხვი ახალგ. ორგანიზაციებისა ირაზმებოდა ჩვენი დროშის ქვეშ. ოპორტუნისტული ახალგ. კავშირები, რომლებიც მისდევდენ სოციალ-მოღალატეების მოძღვრებას, შეიმუსრა და დაინგრა. მიუხედავათ მათი ცდისა, ვერ შესძლეს მათ ცალკე ინ-ლში გაერთიანება. ამავე დროს ახალგ. ფართე მასსები თან და თან ადგებიან რევოლიუციონურ გზას და გრძნობენ რევოლიუც. კავშირების გაერთიანების საჭიროებას. გასულ წელს ჩვენ მოგვემხრო გერმანიის დამოუკიდებელი „მუშათა ახალგაზრდობა", საგრძნობი ნაწილი გერმანიის პროლეტარული ახალგაზრდობისა, რომელიც ამდენხანს სათამაშო ბურთი იყო ოპორტუნისტების და იმპერიალისტების ხელში. გერმანიის ამ დამოუკიდებელმა კავშირმა გაიგო, რომ დღევანდელ ხანაში საჭიროა ძალთა უაღრესი კონცენტრაცია და შეკუმშვა, რომ საჭიროა რევოლიუციონურ ახალგაზრდობის მოქმედების მთლიანობა საერთო მტრის წინააღმდეგ. ამიტომ ის გერმანიის კომუნისტურ ახალგაზრდობასთან ერთად ახდენს საერთო კონგრესს და უკავშირდება მას. ამრიგათ გერმანიის პროლეტარ. ახალგაზრდობაში ომის მიერ წარმოშობილი კრიზისი დასრულდა, და დასრულდა ყველა რევოლიუციონურ ახალგაზრდობის შეკავშირებით ერთ მთლიან ორგანიზაციაში, რომელიც სდგას ახალგ. კომ. ინტერნაციონალის პლატფორმაზე და იზიარებს მის პროგრამას. შემდეგ ღირსშესანიშნავი ცვლილება მოხდა საფრანგეთშიაც, იქაური სოციალისტ. ახალგაზრდობის კონგრესზე აბსოლიუტური უმრავლესობა ახალგ. კომუნ. ინტერნაციონალს უჭერდა მხარს. ახალგ. ოპორტუნისტები აქაც გართული დარჩენ.

ამას გარდა მრავალი ქვეყნების ახალგ. კავშირები შეუერთდენ ახალგ. კომუნ. ინტერნაციონალს და ეს არა მარტო ევროპაში და ჩრდილო-ამერიკაში, არამედ დაჩაგრული და დამონებულ აღმოსავლეთის (აზიის) კავშირებიც, აგრეთვე ჩრდილო აფრიკის და სამხრ. ამერიკის. ახალგ. ინ-ლი გადაიქცა სერიოზულ ძალათ, ის აკავშირებს დღეს ყველა მასიურ ორგანიზაციებს. ასეთ პირობებში ჩვენს წინაშე იჭრება მრავალი საჭირბოროტო კითხვები, რომლებიც პასუხს თხოულობენ. და სწორედ ამიტომ არის მოწვეული მეორე კონგრესი, რომელიც მოწოდებულია ითამაშოს დიდი როლი ახალგაზრდობის მოძრაობის ისტორიაში. მან უნდა კიდევ უფრო გააძლიეროს თვით ინ-ლის ორგანიზაციის ორგანიზაცია, მან უნდა გამოიმუშაოს მთლიანი სამოქმედო გეგმა, მან უნდა გადასწყვიტოს მრავალი ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის კითხვები.

ერთი ამ მთავარ კითხვათაგანია დამოკიდებულება ადგილობრივ კომუნისტურ პარტიებთან და მე-3 მე კომუნისტურ ინტერნაციონალთან. ეს დამოკიდებულება საბოლოოთ უნდა იქნეს გამორკვეული ყველა ახალგ. კომუნისტური და რევოლიუც. კავშირებისათვის. უეჭველია, მეორე კონგრესი შესძლებს მასზე დაკისრებულ მისიის პირნათლად შესრულებას და სათანადო გადაჭრის დღის წესრიგში დასმულ კარდინალურ კითხვებს. ამით ის ითამაშებს ისეთსავე დიდ როლს მსოფლიოს ახალგაზრდობის ისტორიაში, როგორიც ითამაშა მე 3-მე ინ-ლის მე-2 რე კონგრესმა მსოფლიო პროლეტარიატის მოძრაობის ისტორიაში. მეორე კონგრესი შეაერთებს კიდევ მეტ რევოლიუციონურ ახალგაზრდა კავშირებს, ის გაუძღვება მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობის სულ ახალ და ახალ გამარჯვებებისაკენ. ჩვენ, საქართველოს მშრომელი ახალგაზრდობა, შეკავშირებული კომუნისტურ კავშირში, მხურვალე სალამს უძღვნით ახალგ. ინ-ლის მეორე კონგრესს და უსურვებთ მას ნაყოფიერ მუშაობას!

ქ. თ—ძე.

## ჩვენს კავშირში

### ქ. თბილისი.

7 აპრილს შესდგა გაერთიანებული კრება ცენტრალური და თბილისის კომიტეტებისა. გასარჩევი იყო შემდეგი კითხვები:

1) თბილისის კომიტეტის მოხსენება.

2) მომავალი მუშაობა.

3) მიმდინარე კითხვები.

პირველ კითხვაზე მოხსენება გააკეთა ამხ. კალანტაროვმა და შეეხო თბილისის კომიტეტის მუშაობის ყველა მხარეებს დაწვრილებით. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, საერთოდ მუშაობა და აკმაყოფილებელია, მრავალი მუშამ ახალგაზრდები ეწერებიან ჩვენს ორგანიზაციაში და შეუფერხ კულტ.-განმანათლებელი მუშაობაც სწარმოებს. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, თბილისის კომიტეტი მჭიდროთ ვერ დაუკავშირდა კომპარტიის თბილისის კომიტეტს და რაიონებს; აგრეთვე მის განყოფილებებს. არ ქონდათ კავშირი სათანადო სახელმწიფო ორგანოებთან. თბილისის კომიტეტის მუშაობაში არის ნაკლი, რაც აღნიშნა ამხ. ბორის ძნელაძემ და რაც მუშაობის პირველ ხანაში გასაგებია და ბუნებრივიც. არ იყო კავშირი მაგ. კულტ.-განმან. განათლების სახალხო კომისარიატთან ეკონომ. უფლებ. განყოფილების—შრომის კომისარიატთან და სხვა. საფუძვლიანი საყვედური გამოითქვა აგრეთვე იმის გამო, რომ ჯერჯერობით ვერ მოაწესრიგეს „ფურცლის" და საერთოთ გამომცემლობის საქმე. ბოლოს მიღებული იქნა რეზოლიუცია, რომელიც დამაკმაყოფილებლათ სთვლის თბილისის კომიტეტის მუშაობას, მაგრამ აღნიშნავს მის ნაკლს და წინადადებას აძლევს მომავალში იმოქმედოს იმ მხრივ, რომ ეს ნაკლი გასწორდეს. მეორე კითხვაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ბრეიტმანი; ის ამბობს, რომ თბილ. და ცენ. კომ. შორის მჭიდრო კავშირი უნდა იყოს. ცეკა უმთავრესათ და უწინარეს ყოვლისა თბილისის ორგანიზაციებს უნდა ეყრდნობოდეს და თბილისის ორგანიზაციაც საიმედო დასაყრდნობ საფუძველს უნდა წარმოადგენდეს ცენ. კომიტეტისათვის. თბილისის კომიტეტს დიდი წვლილი უნდა შეჰქონდეს ცეკას მძიმე და საპასუხისმგებლო მუშაობაში, მხოლოთ მაშინ დადგება ჩვენი კავშირი უფრო მტკიცე საფუძველზე. ეს მჭიდრო კავშირი უნდა გამოიხატებოდეს ურთიერთ წარმომადგენლობაში.

მომხსენებლის რეზოლიუცია მიიღეს. მესამე კითხვაზე, სახელდობრ, მომავალ მუშაობის შესახებ ვრცელი და შინაარსიანი მოხსენებას აკეთებს ამხ. ბრეიტმანი. ის აღნიშნავს, რომ დღევანდლამდის ჩვენი მუშაობის დიდი ნაკლი იყო ის, რომ არალეგალურ პირობების გამო მოწყვეტილი ვიყავით ახალგაზრდობის ფართე მასსებს და ვმუშაობდით ვიწრო წრეებში. დღეს თავისუფალნი ვართ. მაშასადამე, ჩვენი პირველი ნაბიჯი იქითკენ უნდა იყოს გადადგმული, რომ შევიჭრათ ახალგაზრდების ფართე მასსებში, დავრაზმოთ ისინი ჩვენი დროშის ქვეშ, ე. ი. გადავაქციოთ ჩვენი მოძრაობა მასსიურ მოძრაობათ. იმას გარდა, რომ ჩვენ ჩვენს კავშირში ვრაზმავთ ახალგ. მუშებს, ამასთან ჩვენ უპარტიოებს უნდა მივაქციოთ უპარტიო მასსას და ისიც ჩავაბათ მუშაობაში. უნდა მოვიწვიოთ უპარტიოთა კრებები, კონფერენციები და სხვ. და ვაწარმოვოთ მათში კულტ.-განმანათლებელი მუშაობა.

ამასთან უნდა გავაღვიძოთ ახალგაზრდებში თვითმოქმედება, აქტივობა. ამისათვის საჭიროა ზევიდან დანიშვნის წესი მოვსპოთ და დემოკრატიულ წესით მოვახდინოთ არჩევნები; უნდა მოხდეს რეორგანიზაცია თბილისის კომიტეტისა, უნდა ავირჩიოთ ახალი, კანონიერი კომიტეტი თბილისის კონფერენციაზე. მაგრამ, სანამ თბილისის კონფერენციას მოვიწვევდეთ, უნდა მოვიწვიოთ რაიონული კონფერენციები და ავირჩიოთ რაიონული კომიტეტები იმავე დემოკრატიული წესით. ასე უნდა გადავახალისოთ მუშაობა. კლუბების გამგეობებიც ქვევიდან უნდა იქნას არჩეული, რომ ფართე მასსამ გამოცოცხლება შეიძინოს და მუშაობა იწყოს. თბილისის კომიტეტმა აგრეთვე ხშირათ უნდა აკეთოს მოხსენებები რაიონებში და იაჩეიკებში თავისი მუშაობის შესახებ და მოაწყოს იქ ლექციები, მიტინგები და სხვ. რაიონებში უნდა გაიხსნას ახალი მუშათა კლუბები. იაჩეიკები უნდა შედგეს საწარმოვო დაწესებულებათა მიხედვით, მაგ., ფაბრიკაში, ქარხანაში და სხვ. ეკონომ. უფლებრივ მუშაობაში თბილისის კომიტეტი უნდა დაუკავშირდეს შრომის კომისარიატის სათანადო განყოფილებას და მიიღოს ზომები—უმუშევრები ჩვენში არ იქნენ. კვირაში სამჯერ სამხედრო ვარჯიშობა უნდა შემცირდეს. უნდა მოეწყოს საგამომცემლო კომისია, რომელიც გაუძღვება ბეჭდვითი ორგანოების—გაზეთების, ფურცლების, ჟურნალების გამოცემის საქმეს. მოხსენება ფრიად შინაარსიანი იყო. რამოდენიმე კითხვებმა კამათი გამოიწვია, რის შემდეგ ზოგიერთ მუხლის გამოკლებით მიიღეს მომხსენებლის რეზოლიუცია. დაევალა თბილისის კომიტეტს ამ ახლო ხანში მოიწვიოს თბილისის კონფერენცია. ეს კრება ფრიად დიდი მნიშვნელოვანი იყო და დიდ როლს ითამაშებს ჩვენი კავშირის გაძლიერების საქმეში.

სპარტაკი.

**სოფლის ახალგაზრდა, მშრომელო! დადგა დრო, როდესაც შენც ხმა უნდა ამოიღო, წელში გასწორდე და მხარი დაუჭირო საბჭოთა მთავრობას; რომელიც ყოველ ღონეს იხმარს, რომ მძიმე ტვირთი შეგიმსუბუქოს. უპირველესათ ყოვლისა ის დააწესებს თქვენთვის საყოველთაო და უფასო სწავლას.**

## ჩვენი გამომცემლობა

კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის სასურველ დონეზე დაყენებაში დიდ როლს თამაშობდა და თამაშობს ყოველგან გამომცემლობა. ამდენხანს ჩვენ გვქონდა თავის გასამართლებელი საბუთი ის, რომ მენშევიკები ხელს გვიშლიდენ ყოველ მხრივ გამომცემლობის საქმეში. მაგრამ ის რაც იყო, აღარ არის. ჩვენი ორგანიზაციები თავისუფალი არიან. დღეს მან უნდა გამოიჩინოს უნარი თავისი არსებობის, დღეს მან ფეხზე უნდა დააყენოს ყველა თავისი ძალები და მოუხმოს მათ ენერგიულ მუშაობისაკენ. ჩვენ ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ვაძლევდით კულტ. განმანათლებელ მუშაობას. მით უმეტეს ასე უნდა იქნას ეს დღეს. თუ ჩვენ გვსურს ამ მხრივ მიზანს მივაღწიოთ, უპირველეს ყოვლისა სათანადო სიმაღლეზე უნდა დავაყენოთ ჩვენი გამომცემლობა. რუსულ ენაზე ბევრი ისეთი წიგნები და ბროშურებია დაწერილი, რომლის წაკითხვა და შესწავლა დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს ახალგაზრდობას. მაგრამ ქართველ ახალგაზრდა მკითხველებში დიდმა ნაწილმა ან არ იცის რუსული ენა და ან ცუდათ იცის. მაშასადამე, აუცილებელ საჭიროებებს წარმოადგენს ქართველ ახალგ. მკითხველებს სულიერი საზრდო თავის მშობლიურ ენაზე მივაწოდოთ. ამისთვის კი საჭიროა რუსული ენიდან სასარგებლო და საჭირო წიგნების გადმოთარგმნა ქართულათ. არ კმარა მარტო გადმოთარგმნილი ლიტერატურა. ჩვენი კავშირის მოწინავე ახალგაზრდებმა უნდა ეცადონ რაიმე ორიგინალური შექმნან, საუბედუროთ, ჩვენ ცოტა გვყავს კულტურული ძალები, რომელთაც შეუძლიათ ეს საქმე შეასრულონ. მაგრამ ის ძალები, რომლებიც გვყავს, თავის ადგილზე არა სდგანან. საჭიროა ამ მხრივ დიდი აქტივობის გამოჩენა. ჩვენმა კავშირმა დღემდის „ფურცელიც" ძლივ გამოსცა. უნდა გამოიცეს გაზეთი, ჟურნალიც და ბროშურებიც. დიდი სამუშავო გვაქვს ამ მხრივ, და ჩვენმა მოწოდებამ, რომ ვისაც შეუძლია ასეთ საქმეზე მუშაობა, ჩვენთან მოვიდეს და დაგვეხმაროს, რათა შესაფერ სიმაღლეზე დავაყენოთ ჩვენი გამომცემლობის საქმე. დაყოვნება შეუძლებელია. ეს საქმე უნდა გაკეთდეს.

სპარტაკი.

**ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალი—ეს ავანგარდის ავანგარდია, რომელიც წინ მიუძღვის მთელი მსოფლიოს მშრომელ ახალგაზრდობას.**

## ცენტრალურ კომიტეტში.

7 აპრილს შესდგა საქ. კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის კრება. განიხილეს შემდეგი კითხვები.

1. მოხსენება რ. კ. ა. ც. კ-ზე და რ. კ. ვ. 10-თე ყრილობაზე.

2. კონფერენციის ხოწვევა.

1. პირველ კითხვაზე მოხსენება გააკეთა მოსკოვიდან ახლათ ჩამოსულ ამხ. ბრეიტმანმა. მან აღნიშნა რუს. კომ. ახალგ. ცენ. კომიტეტის მუშაობის ესა და სხვა მხარეები და შემდეგ დაწვრილებით შეეხო რ. კ. პ. 10 სიეზდის მუშაობას. მან გააცნო ამხანაგებს ამ სიეზდის მუშაობის საინტერესო და მთავარი მომენტები და ყველა ის გადაწყვეტილებანი, რომლებიც ამ სიეზდმა გამოიტანა. მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები, რაზედაც მომხსენებელმა პასუხი გასცა.

2. მეორე კითხვის გარჩევის შემდეგ გადაწყდა, რომ ვინაიდან ჩვენი ორგ-ბი ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია და ადგილებზე მომუშავეებს არ აქვთ სახელმძღვანელო ინსტრუქცია, მოწვეულ იქნას საქართოთ 15 აპრილს სასწრაფოთ კონფერენცია, სადაც უნდა გამოგზავნონ თითო წარმომადგენლები სამაზრო და ქალაქის კომიტეტებმა. ამ კონფერენციას უნდა დაესწროს ც. ქ. ყველა წევრებიც. ც. კ. სხდომამ გამოიმუშავა დღის წესრიგი კონფერენციის და დაინიშნა მათზე მომხსენებლები.

წევრი.

## გორის მაზრა

სივრცით გორის მაზრა შეადგენს თითქმის მთელი თფილისის გუბერნიის ნახევარს. აქ კულტურული და გამოცდილი ძალების დიდი ნაკლებობაა, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, გორის მაზრაში მუშაობა, ამხანაგების განუსაზღვრელი ენერგიის დახარჯვით, მაინც სასურველ დონეზე არის დაყენებული. **ხაზ გასმით** უნდა აღვნიშნოთ, რომ მთელი ახალგაზრდობის სიმპატია კომუნისტურ კავშირისაკენ არის; ის თანდათან დგება ჩვენი წითელი დროშის ქვეშ. მთელი გორის მაზრა გაყოფილია ცამეტ რაიონათ. ამათ შორის არარის ისეთი რაიონი, სადაც არ იყოს ჩვენი ორგანიზაცია. უმრავლეს რაიონებში უკვე შექმნილია რაიონული კომიტეტები. ყველაზე უფრო კარგი მუშაობა მიმდინარეობს ბორჯომის რაიონში, რომელიც აერთიანებს სამას ორმოცდა ათს მუშას და გლეხს. აქ შექმნილია რაიონული კომიტეტი თავისი განყოფილებებით. არსებობს დრამატიული ხორო და ორკესტრის წრე, რომელიც რეგულიარულათ აწყობს კონცერტებს და სპექტაკლებს. შემდეგი რაიონი, სადაც მუშაობა კარგათ მიმდინარეობს, არის **ბაკურიანი.**

ჩვენი ორგანიზაცია ძველათაც ძლიერი იყო ბაკურიანში და ეხლა, როდესაც თავისუფლათ ვმუშაობთ, მთელი ახალგაზრდობა ეწერება ჩვენს ორგანიზაციაში. მაგრამ აქ ყველაზე უფრო ემჩნევა კულტურულ ძალთა ნაკლებობა, რაც ძლიერ აფერხებს მუშაობას. როგორც ბორჯომში, ისე ბაკურიანში უკვე დასრულდა რეგისტრაცია და კონფერენციები. ბაკურიანის ორგანიზაცია აერთიანებს ხუთას წევრს. შემდეგი რაიონი **ხაშურია.** აქაც დასრულდა რეგისტრაცია, ორგანიზაციული მუშაობა კარგ ნიადაგზე სდგას. კავშირი აერთიანებს სამას კაცს. შედარებით უფრო სუსტათ მიმდინარეობს მუშაობა **სურამის რაიონში.** უკვე გაგზავნილია იქ ინსტრუქტორები, რომლებმაც უნდა მოახდინონ წევრების რეგისტრაცია და კონფერენცია. **სურამის რაიონი** აერთიანებს თუთხმეტ სოფელს. ამათ შორის სულყველგან არის ჩვენი იაჩეიკები მცირე გამონაკლის გარდა. შემდეგი რაიონები არის: **დირბი, გომი, ქარელი.** ჯერჯერობით არ არის კარგათ გამორკვეული ამ რაიონების მდგომარეობა. მიღებულია ყოველივე ზომები, რათა აღსდგეს სასწრაფოთ ის რაიონები. **გორის, ცხინვალის, მეჯვრის-ხევის** რაიონებში მუშაობა მიმდინარეობს. უკვე შეუდექით წევრთა რეგისტრაციას. დანიშნულია ამ რაიონებში ორგანიზატორები და ინსტრუქტორები. რაც შეეხება **ტყვიავს** და **ცხინვალის** რაიონებს აქ კი მიღებულია ზომები, რათა სასწრაფოთ იყოს გამორკვეული მდგომარეობა.

გორის სამაზრო კომიტეტთან შესდგა განყოფილებები. საქმეთა მმართველათ და აგრეთვე საინფორმაციო და განაწილებელ განყოფილებათა გამგეთ არის ამხ. ბაბლიძე, ქალთა განყოფილების გამგეთ ამხ. ვარვარა მოწონელიძე, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას და შექმნა ქალთა იაჩეიკები. სამხედრო განყოფილების გამგეთ და ერთ-ერთ პასუხისმგებელ მუშაკათ დანიშნული არის ამხ. დ. ლაბაძე. კულტურულ-განმანათლებელ, სააგიტაციო, ეკონომიურ-უფლებრივ განყოფილებებს ხელმძღვანელობს ამხ. ცინცაძე. საერთოთ, გორის მაზრა განიცდის ძალთა ნაკლებობას. რომ შესაფერ სიმაღლეზე დადგეს მუშაობა, ამისათვის საჭიროა გამოგზავნა გამოცდილ ამხანაგების, ლიტერატურის და საკანცელარიო ნივთების.

სამაზრო კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი მ. ც—ძე.

### ველის-ციხე.
(სიღნაღის მაზრა).

8 აპრილს შესდგა ველის-ციხის კომ. ახალგაზრ. კავშირის წევრთა საერთო კრება. მომხსენებელნი იყვნენ სიღნაღის სამაზრო კომსომოლის წარმომადგენელნი: ა. მოსაშვილი და ი. ფხეიძე. მოხსენება გააკეთეს შემდეგ თემაზე: „რა მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდა მუშათა და გლეხთა კომუნისტურ მოძრაობას". იყო შეკითხვები. კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „ველის-ციხის კომსომოლი ესალმება საბჭოთა საქართველოს მთავრობას, ცენტრალურ კომიტეტს და ფიცსა სდებს, რომ დარაჯათ ჩაუდგება საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას და კომუნისტური იდეალების ცხოვრებაში გატარებას".

ა. მოსაშვილი.

## ფოსტა

**ყველა ორგანიზაციებს.** მოგვაწოდეთ ცნობები ადგილობრივ ორგანიზაციების მუშაობის და მდგომარეობის შესახებ.

ტირაჟი—9000

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, რუსთაველის პ. № 4

ნ.-ლ. [illegible] ს.